ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

მარიამი ჯაფარიძე

პოლონეთ – უკრაინის მეხსიერების პოლიტიკა და უსაფრთხოების ალიანსი: დავიწყებული კონფლიქტური საკითხები და საერთო ინტერესების პოვნა

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
2023

აბსტრაქტი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის წამოწყებამ დრამატულად შეცვალა მანამდე არსებული რეალობა. ომის დაწყების დღიდან უკრაინის ერთ-ერთ პირველ მხარდამჭერად პოლონეთი მოგვევლინა. მიუხედავად არსებული მჭიდრო ალიანსისა, მათ შორის მეოცე საუკუნეში არსებული დაპირისპირებები კვლავ მტკივნეულ ლაქად რჩება ორივე ქვეყნისთვის. “ეროვნული სიმართლეების” მიღმა მოვლენებისთვის დიპლომატიური განსაზღვრების მინიჭება წლების მანძილზე გამხდარა დებატებისა და მეხსიერების პოლიტიკის საგანი.

კვლევის **მიზანია** კომპლექსურად გააანალიზოს რა ცვლილებები და ტენდენციები შეინიშნებოდა პოლონეთ – უკრაინის ერთგვაროვანი აღქმებისა და იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში; დაადგინოს რუსეთის მიერ 2022 წელს უკრაინაში ომის დაწყების როლი აღნიშნულ პროცესებზე და გამოიკვლიოს ამ ორი მხარის მეხსიერების პოლიტიკა.

ნაშრომი კვლევის შედეგად წარმოგვიდგენს ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც, რუსეთის მიერ ხისტი ძალის გამოყენებამ უკრაინაში, გამოკვეთა რა, პოლონეთისა და უკრაინის თანხვედრი ინტერესები, განაპირობა მათ შორის არსებული კონფლიქტური მეხსიერების განეიტრალება და პოლონურ - უკრაინული ალიანსის ჩამოყალიბება.

საკითხის სიღრმისეული ანალიზისათვის ნაშრომში გამოყენებულია საერთაშორისო ურთიერთობების ორი თეორია: კონსტრუქტივიზმი და ნეორეალიზმი. შესაბამისად, ნაშრომი სხვადასხვა კუთხით გამოკვეთს რუსეთის მიერ უკრაინაში წამოწყებული ომის როლს პოლონეთ - უკრაინის უსაფრთხოების ალიანსის ჩამოყალიბებაზე.

საკვანძო სიტყვები: *პოლონეთი, უკრაინა, მეხსიერების პოლიტიკა, რუსეთის შეჭრა უკრაინაში, ალიანსი, იდენტობა*

Abstract

On February 24, 2022, Russia's initiation of a large-scale war in Ukraine dramatically changed the previously existing reality. Since the beginning of the war, Poland has been one of the first supporters of Ukraine. Despite their close alliance, the conflicts between them in the twentieth century still remain a painful stain for both countries. Over the years, assigning a diplomatic definition to events beyond "national truths" has been a matter of debate and memory politics.
The purpose of the study is to analyze in a complex manner what changes and trends were observed in the process of forming uniform perceptions and identities of Poland and Ukraine; determine the role of Russia in starting the war in Ukraine in 2022 in these processes; and investigate the memory policies of these two sides.
As a result of the research, the paper presents a hypothesis according to which Russia's use of hard power in Ukraine highlighted the common interests of Poland and Ukraine, led to the neutralization of the conflicting memories between them, and led to the formation of the Polish-Ukrainian alliance.
For an in-depth analysis of the issue, the paper uses two theories of international relations: constructivism and neorealism. Therefore, the paper will highlight the role of the war initiated by Russia in Ukraine in the formation of the Polish-Ukrainian Security Alliance.

Keywords: Poland, Ukraine, Memory policy, Russian invasion of Ukraine, Alliance, Identity

აბრევიატურების ჩამონათვალი

OUN - Organisation of Ukrainian Nationalists - “უკრაინელი ნაციონალისტების მოძრაობა”

UPA - Українська повстанська армія, *Ukrayins'ka Povstans'ka Armiya*, უკრაინის მეამბოხეთა არმია

ZUNR - Zakhidnoukrayins’ka Narodna Respublika, უკრაინის სახალხო რესპუბლიკა

AK - Armia Krajowa, Home Army, “ეროვნული არმია”

სარჩევი

შესავალი 1

მეთოდოლოგია და დიზაინი 6

ლიტერატურის მიმოხილვა 9

თეორიული ჩარჩო 15

XX საუკუნე პოლონეთ - უკრაინის კონფლიქტურ მეხსიერებაში 17

ისტორიულ - მითოლოგიური ბაზისები 17

ბრძოლა აღმოსავლეთ გალიციისათვის 19

ვოლინისა და აღმოსავლეთ გალიციის ჟლეტები 20

პოლონეთ - უკრაინის ურთიერთაღქმა და "უკრაინული პრობლემის გადაჭრის" გზა 23

პოლონეთ - უკრაინის „მეხსიერების ომი" 27

ურთიერთმიმართული მეხსიერების კანონები 27

საერთო იდენტობაზე დაფუძნებული უსაფრთხოების ალიანსი 32

ლიდერთა როლი და ძალისხმევა 33

კრემლის რეაქცია პოლონეთ - უკრაინის ალიანსის საპასუხოდ 35

პოლონეთ - უკრაინის ალიანსი _ ანალიზი თეორიულ ჭრილში 37

დასკვნა 41

ბიბლიოგრაფია: 43

დანართები 49

შესავალი

კოლექტიურ მეხსიერებაში დალექილმა ნებისმიერმა მოვლენამ და ამ მოვლენათა სხვადასხვაგვარმა აღქმამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოთა პოზიციონირებაზე. აქტორები ერთმანეთთან ურთიერთობების დინამიურ ცვლილებასთან ერთად ხშირად ივიწყებენ წარსულ მოვლენებს, ანდაც პირიქით, გამალებით იყენებენ ამ უკანასკნელს ეროვნული თუ რეგიონული ინტერესების გასატარებლად.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის ყოვლად გაუმართლებელმა წამოწყებამ დრამატულად შეცვალა მანამდე არსებული რეალობა და ახალი მოცემულობების წინაშე დააყენა მსოფლიო. ომის დაწყების დღიდან უკრაინის ერთ-ერთ მოწინავე და გულმხურვალე მხარდამჭერად კი პოლონეთი გვევლინება, რომლის როლიც რეგიონის ძალთა ბალანსში სულ უფრო მზარდია. ამ უკანასკნელის მხრიდან განუზომლად დიდი აღმოჩნდა უკრაინის მხარდაჭერა როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე. თუკი საერთაშორისო არენაზე ვარშავა კიევის ინტერესებს მანამდეც ხშირად ლობირებდა, ამჯერად შიდასახელმწიფოებრივ და სამოქალაქო დონეზეც აისახა აღნიშნული: გადავსებული მატარებლის სადგურები, თეატრებში მოწყობილი თავშესაფრები, 6.4 მილიარდ ევროზე მეტი გაწეული დახმარება და ჯამში 10 მილიონზე მეტი უკრაინელი ლტოლვილისთვის გახსნილი საზღვარი (Straż Graniczna, 2023). მიუხედავად არსებული მჭიდრო ალიანსისა, ამ ორი ქვეყნის ურთიერთობები ყოველთვის მსგავსად კეთილგანწყობილი არ ყოფილა. დღემდე არსებობს საკითხები, რომელთაც მხარეთათვის ემოციური დატვირთვა გააჩნია და მათ ისტორიაში მტკივნეულ ლაქად რჩება. კრემლის პროპაგანდისტული მანქანა კი განსაკუთრებით ცდილობს ამ კონფლიქტური თემების წინ წამოწევას და მათით მანიპულირებას, რათა პოლონურ-უკრაინული ალიანსის სიმტკიცეში ბზარი შეიტანოს. თუმცაღა, შედეგად, მხოლოდ და მხოლოდ პოლონეთისა და უკრაინის გაძლიერებულ კავშირებს ვიღებთ.

მეოცე საუკუნის მოვლენებმა მართლაც ღრმა იარები დატოვა პოლონელებისა და უკრაინელების კოლექტიურ მეხსიერებაზე. წარსულის აღქმისა და გადააზრების პროცესი კი სხვადასხვა ხელისუფლებისა თუ რეგიონული მდგომარეობის ცვალებადობის პირობებში მრავალტალღოვანი დებატების საფუძველიც გამხდარა. 1918-19 წლების ომი აღმოსავლეთ გალიციისთვის, 1943 წლის ვოლინისა და აღმოსავლეთ გალიციის ჟლეტები, 1947 წლის ოპერაცია "ვისტულა" - ეს ნაწილია იმ მოვლენებისა, რომლებიც ინტერპრეტაციებისა და ურთიერთსაწინააღმდეგო ნარატივების ბრძოლის ველს ქმნიან პოლონეთ – უკრაინის ისტორიაში. ამავდროულად, ზოგიერთი მათგანი არა მხოლოდ ევროპული მეხსიერების მიღმაა დარჩენილი, არამედ ჩართულ მხარეთა მიერაც მიზანმიმართულადაა დავიწყებული. ეს მაშინ, როცა ეთნიკური ნიშნით დაპირისპირებებს მხოლოდ 1943-47 წლებში 50-დან 100 ათასამდე პოლონელისა და უკრაინელის სიცოცხლე შეეწირა[1], ხოლო დაახლოებით 1,5 მილიონი უკრაინელი და პოლონელი იძულებული გახდა დაეტოვებინათ თავიანთი სახლები (Snyder, 2003, pp. 228-232).

მეორეს მხრივ, მათ ურთიერთობებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კონფლიქტის მემორიალიზაციის მნიშვნელობას. აღნიშნული მუდამ ხელს უწყობდა ორი საზოგადოების მიერ ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებების განსაზღვრას. კვლავ კონტროვერსულია "უკრაინელი ნაციონალისტების მოძრაობის" (Organisation of Ukrainian Nationalists- OUN) ერთ-ერთი დაჯგუფების ლიდერის, სტეფანო ბანდერას ფიგურა. განზოგადებულად, იგი უკრაინელთათვის დამოუკიდებლობისთვისა და საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოა. 2010 წელს უკრაინის მაშინდელმა პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ ეროვნული გმირის სტატუსიც მიანიჭა (Goncharenko, 2022). ვარშავისთვის კი, იგი უკრაინის მეამბოხეთა არმიასთან ერთად (Українська повстанська армія, *Ukrayins'ka Povstans'ka Armiya*, UPA) პოლონური გენოციდის ერთ-ერთი შემოქმედია, რომელმაც "პოლონური ელემენტებისგან გაწმინდა" ვოლინის რეგიონი (დღევანდელი უკრაინის ჩრდილო-დასავლეთი, სასაზღვრო რეგიონი). მაშინ, როცა პოლონეთის საზოგადოებრივი მეხსიერებისთვის მნიშვნელოვან

[1] მსხვერპლთა რიცხვი განსხვავებულ წყაროებში განსხვავებულადაა წარმოდგენილი სხვადასხვა ავტორის მიერ.

ქვაკუთხედს UPA-ს მოქმედებები წარმოადგენს, პოლონურმა რეზისტენტულმა მოძრაობამ, როგორიც იყო მიწისქვეშა "არმია კრაიოვა" (ეროვნული არმია, *Armia Krajowa* – AK, Home Army), 10 ათასამდე უკრაინელის სიცოცხლე შეიწირა (Portnov, 2016).

<u>საკითხის აქტუალობა</u>

"ეროვნული სიმართლეების" მიღმა მოვლენებისთვის დიპლომატიური განსაზღვრების მინიჭება წლების მანძილზე გამხდარა დებატების სხვადასხვა ტალღის მიზეზი, მათ შორის საკანონმდებლო დონეზე. მაგალითისთვის, 2015 წელს უკრაინის უმაღლესმა რადამ მიიღო კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ხდებოდა იმ ადამიანთა პასუხისგებაში მიცემა, ვინც უარყოფდა UPA-ს როლს უკრაინის დამოუკიდებლობის მოპოვებაში. საპასუხოდ, პოლონეთის პარლამენტი 2016 წელს იღებს რეზოლუციას, რითაც ვოლინის მოვლენებს პოლონელი ხალხის მიმართ განხორციელებულ გენოციდად განსაზღვრავს (Kononczuk, 2018a). ამის პარალელურად, კრემლის პროპაგანდისტული მანქანა ფაქტების ინტერპრეტაციითა და დეზინფორმაციით მუდმივად ცდილობს შეახსენოს პოლონეთს/პოლონელებს UPA-ს სისხლიანი დანაშაულებები. უკრაინაში კი 2023 წელსაც იხსენებენ ბანდერას ხსოვნას, ზოგიერთი კი უარყოფს მის კავშირს პოლონელების ხოცვასთან (Tilles, 2023a). თუკი გასულ წლებში აღნიშნულთან დაკავშირებით ვარშავა მკაცრ განაცხადებს გააკეთებდა კიევის მიმართულებით, ამჯერად მისი რეაქციები ბევრად რბილია.

ისტორიაზე თვალის გადავლებით საკმაოდ პარადოქსულიც კია პოლონეთ – უკრაინის დღევანდელი კეთილმეზობლობა და მტკიცე ალიანსი რუსეთის წინააღმდეგ. მართალია, 1991 წლის 2 დეკემბერს პოლონეთი იყო პირველი ქვეყანა (კანადასთან ერთად), რომელმაც უკრაინის დამოუკიდებლობა აღიარა (Markiewicz & Olchawa, 2023); მას შემდეგ მოსახლეობების დამოკიდებულებებიც რადიკალურად შეიცვლა ერთმანეთის მიმართ; ჯერ კიდევ 2004 წლიდან მოყოლებული ვარშავა აქტიურად უჭერდა მხარს უკრაინის ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუციებში ინტეგრაციას, რაც ევრომაიდნის მოვლენების დროსაც კიდევ ერთხელ დამტკიცდა; თუმცაღა, ცალსახაა, ბოლო წლებამდე ორივე საზოგადოებაში ხშირად

ხდებოდა მტკივნეული წარსულის გახსენება. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ელიტები თუ გარე ძალები ისტორიულ დისკურსებს პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოსახდენად აქტიურად იყენებდნენ. და მაინც, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, 2022 წელს პოლონეთის მხარდაჭერამ უკრაინის მიმართ ტოტალური ხასიათი მიიღო. დღეს სახეზე გვაქვს რუსეთის, როგორც ბოროტების ღერძის წინააღმდეგ გაერთიანებული პოლონეთ – უკრაინის მტკიცე ალიანსი, რაც მიმდინარე ძალთა ბალანსის ცვალებადობის ეპოქაში მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს და ზრდის ნაშრომის საკვლევი თემის აქტუალიზაციას.

<u>ნაშრომის მიზანი, საკვლევი კითხვა და ცვლადები</u>

ნაშრომის **მიზანია** კომპლექსურად გააანალიზოს რა ცვლილებები და ტენდენციები შეინიშნებოდა პოლონეთ – უკრაინის ერთგვაროვანი აღქმებისა და იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში; დაადგინოს რუსეთის იმპერიალისტური ამბიციების, კერძოდ, 2022 წელს უკრაინაში ომის დაწყების როლი აღნიშნულ პროცესებზე; მიმოიხილოს ის მოვლენები, რაც მანამდე ინტერპრეტაციებისა და პროპაგანდისტული ნარატივების გავრცელების საბაბი გამხდარა; გამოიკვლიოს კონფლიქტური წარსულის მიმართ ამ ორი მხარის მეხსიერების პოლიტიკა, რაც აქტიურად აისახებოდა მათსავე კანონმდებლობაში.

შესაბამისად, ამ მიზნის მისაღწევად ნაშრომის ფარგლებში პასუხი გაეცემა **საკვლევ კითხვას,** რომელიც შემდეგნაირად ჩამოყალიბდება: ***<u>რა გავლენა იქონია რუსეთის მხრიდან უკრაინაში წამოწყებულმა ომმა პოლონურ - უკრაინული საერთო იდენტობის გამოკვეთასა და ალიანსის ჩამოყალიბებაზე?</u>***

კვლევის **ჰიპოთეზის** თანახმად, რუსეთის მიერ ხისტი ძალის გამოყენებამ უკრაინაში, გამოკვეთა რა, პოლონეთისა და უკრაინის თანხვედრი ინტერესები, განაპირობა მათ შორის არსებული კონფლიქტური მეხსიერების განეიტრალება და პოლონურ - უკრაინული ალიანსის ჩამოყალიბება.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად, ისევე როგორც კვლევის ფარგლებში შესაბამისი ანალიზის გასაკეთებლად, მნიშვნელოვანია ცვლადების გამოყოფა. ამ შემთხვევაში **დამოკიდებულ ცვლადს** წარმოადგენს *პოლონეთ – უკრაინის საერთო იდენტობაზე დაფუძნებული უსაფრთხოების ალიანსი*. ხოლო, **დამოუკიდებელი ცვლადია** *რუსეთის წამოწყებული ომი უკრაინაში*. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დამოკიდებული ცვლადის ფორმირებაზე. მიუხედავად უკრაინასა და პოლონეთს შორის მანამდე არსებული კავშირებისა და ორმხრივი თანამშრომლობისა, ისტორიული მეხსიერების პოლიტიკური გამოყენების იარაღად ქცევა მრავალი წლის განმავლობაში ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებს ჩრდილს აყენებდა. ამას სიმწვავეს მატებდა 2013 წლიდან დაწყებული ახალი რეზოლუციებისა და კანონმდებლობების კასკადი ორივე მხრიდან. თუმცაღა, რუსეთის იმპერიალისტური ამბიციების, განსაკუთრებულად კი 2022 წელს უკრაინაში შეჭრის პროდუქტად შეგვიძლია მივიჩნიოთ პოლონეთისა და უკრაინის საერთო იდენტობის გამოკვეთა, რასაც დაეფუძნა კიდეც მათი მტკიცე ალიანსი.

საკვანძო ტერმინების განმარტება

იქიდან გამომოდინარე, რომ საკვლევ კითხვასა და ჰიპოთეზაში, გამოყენებული კონკრეტული ტერმინები შესაძლოა იძლეოდეს ინტერპრეტაციის საშუალებას და ჰქონდეთ მრავალგვარი მნიშვნელობა, საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე ავტორის აზრი გამოვყო მათთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში განვიხილავთ ტერმინებს - „საერთო იდენტობა“ და „უსაფრთხოების ალიანსი“.

„საერთო იდენტობა”:

სახელმწიფოს იდენტობა, ზოგადად, გულისხმობს ინტერესების, ღირებულებების, თვითგამორკვევისა და ორიენტაციის ერთობლიობას, რის საფუძველზეც შემდგომ უკვე მოქმედებენ სახელმწიფოები. ფასეულობების ფესვები შეიძლება ვეძიოთ ქვეყნის ისტორიასა და კულტურაში, ადამიანურ და ფიზიკურ გეოგრაფიაში, ეკონომიკასა და ძირეულ სტრატეგიულ კონტექსტში (Jackson & Hogg, 2010). იდენტობა ქმნის აქტორის

ინდივიდუალობას. იგი შეიძლება სხვადასხვა ინტერესებიდან გამომდინარეობდეს სიტუაციისდა მიხედვით, მათ შორის: ფიზიკური უსაფრთხოება; სამყაროსთან ურთიერთობაში პროგნოზირებადობა, რაც ქმნის სტაბილური სოციალური იდენტობის სურვილს; სხვა აქტორების მიერ აღიარება; სწრაფვა განვითარებისკენ (Wendt, 1994). პოლონეთისა და უკრაინის შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი იდენტობა ყალიბდება სისტემის ცვლილებებისა და მათი თვითგადარჩენის ინტერესებიდან გამომდინარე. ორივე სახელმწიფო აცნობიერებს საერთო მტრისგან მომავლ საფრთხეს და ამ მტრის დამარცხების მნიშვნელობას. მათი იდენტობები აგებულია რუსეთის, როგორც ბოროტების ღერძის და განვითარების მთავარი ხელშემშლელი აქტორის დამარცხების იდეაზე. თუკი ისტორიულად მათ ჰქონდათ ინტერესთა კონფლიქტები, უპირატესი ინტერესების გადაკვეთა უბიძგებს მათ აღიქვან საკუთარი თავი ახალ გარემო-პირობებში.

„უსაფრთხოების ალიანსი“:

როგორც გლენ სნაიდერი განმარტავს, ალიანსი წარმოადგენს სახელმწიფოთა ფორმალურ გაერთიანებას სამხედრო ძალის გამოყენებისთვის (ან გამოუყენებლობისთვის), რომელიც გამიზნულია წევრთა უსაფრთხოებისა ან მათი გაძლიერებისათვის და მიმართულია სხვა სახელმწიფოს/სახელმწიფოთა წინააღმდეგ (Snyder, 1990, pp. 103-107). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ალიანსში ჩართულ მხარეებს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ მოლოდინები. ასეთი მოლოდინები კი როგორც წესი წარმოიქმნება საერთო ინტერესებიდან; ისინი შეიძლება იყოს ძლიერი ან სუსტი, რაც დამოკიდებულია მხარეთა კონფლიქტის შედარებით ხარისხზე საერთო მოწინააღმდეგესთან. პოლონეთსა და უკრაინას შორის წარმოშობილი საკმაოდ მჭიდრო ალიანსიც სწორედ ამ ჭრილში იქნება ნაშრომში განხილული.

მეთოდოლოგია და დიზაინი

ნაშრომში წარმოდგენილი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებითა და ამ უკანასკნელის სიღმისეულად შესწავლისთვის ჩატარდა <u>თვისებრივი კვლევა</u>. თვისებრივი კვლევის მეთოდებმა საშუალება მოგვცა ინდუქციური გზით გაგვეანალიზებინა მოვლენები და

კონკრეტული დაკვირვებების საფუძველზე შესაბამისი დასკვნები გაგვეკეთებინა. იქედან გამომდინარე, რომ ძირითადად ნაშრომი ფოკუსირებულია სახელმწიფოთა ქცევაზე, ისტორიულ მეხსირებასა და იდენტობების ჩამოყალიბებაზე, თვისებრივი კვლევის მახასიათებლები დაგვეხმარა კვლევისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორების ყოვლისმომცველ შესწავლასა და მოქნილი ანალიზის გაკეთებაში (Lamont, 2015, pp. 95-110).

მოცემული ნაშრომის კვლევის დიზაინს წარმოადგენს "შემთხვევის შესწავლა" (Case Study). ეს მიდგომა ძირითადად გამოიყენება კომპლექსური სოციალური, პოლიტიკური და სხვა მსგავსი ფენომენების გამოსაკვლევად, მათთან დაკავშირებით ცოდნის გასაღრმავებლად და კონკრეტული დასკვნების გასაკეთებლად. მისი მიგნებები მარტივად შეიძლება განზოგადდეს საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილე აქტორთა ქმედებების ასახსნელად (Yin, 2009, pp. 4-20). "შემთხვევის შესწავლა" დაგვეხმარა როგორც პოლონეთ - უკრაინის ურთიერთობების მრავალმხრივ ანალიზში, ისე ფაქტების იდენტიფიცირებასა და ჰიპოთეზის შემოწმებაში.

თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან მონაცემთა შეგროვების მეთოდის გამოყენებით კვლევის ფარგლებში გაანალიზდა პირველადი და მეორეული წყაროები. პირველადი წყაროების საშუალებით შევისწავლეთ სამთავრობო თუ არასამთავრობო დოკუმენტები, სტატისტიკური მონაცემები, ოფიციალური რეპორტები, ორმხრივი ხელშეკრულებები და სხვადასხვა დროს დაფიქსირებული ოფიციალური პოზიციები. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი დაგვეხმარა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების ერთმანეთთან შედარებაში, რითაც გამოიკვეთა დამოკიდებულებებსა და აღქმებში წლების განმავლობაში არსებული ცვლილებები. დავინახეთ ერთის მხრივ მათი გავლენა სახელმწიფოთა ქმედებებზე, მეორეს მხრივ კი მათი დამოკიდებულება რუსეთის იმპერიალისტურ და ექსპანსიონისტურ პოლიტიკაზე. მეორეულ წყაროებზე დაყრდნობით კი გავეცანით საკითხის ირგვლივ არსებულ აკადემიურ ლიტერატურას, საარქივო ინფორმაციას, ისევე როგორც მკვლევართა მიდგომებს ამ თემასთან დაკავშირებით (Creswell & Creswell, 2014, pp. 166-171).

თეორიული და პრაქტიკული მასალების კონტექსტუალურ გააზრებასთან ერთად თვისებრივი კონტენტ ანალიზის გამოყენებით ტექსტუალურად შევისწავლეთ საკითხში ჩართულ აქტორთა და პოლიტიკოსთა განცხადებები. აღნიშნული მეთოდით უკეთ დავინახეთ მათი გავლენა პოლიტიკურ დონეზე სხვადასხვა დროს ისტორიული დებატების წინ წამოწევაში. შედეგად გამოიკვეთა ისტორიულ მოვლენათა ის ნიუანსები, რომლებიც პოლონეთისა და უკრაინის კონფლიქტური ნარატივების ცენტრში იყო წარმოდგენილი წლების განმავლობაში; ამასთანავე, ხაზი გაესვა რუსეთისგან მომავალი საფრთხის აღქმის როლს პოლონეთ – უკრაინის იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში

ლიტერატურის მიმოხილვა

მოცემულ თავში განვიხილავთ საკვლევი თემის ირგვლივ არსებულ აკადემიურ ლიტერატურას, სხვადასხვა ავტორის მოსაზრებებსა და ექსპერტთა შეხედულებებს. ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, თუ როგორ უყურებენ მკვლევრები პოლონეთ - უკრაინის ურთიერთობების ისტორიულ კონტექტსა და დინამიკას. მეორეს მხრივ, საინტერესოა, როგორ ხსნიან ისინი ამ ორ ქვეყანას შორის გასულ წლებში არსებულ მეხსიერების პოლიტიკას და ამის შემდგომ მათი ალიანსის განმტკიცებას.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასთან დაკავშირებული საკითხის კვლევისას რთულია გვერდი აუარო ტიმოთი სნაიდერის ნაშრომებს, რომლებიც ისტორიული დეტალების ზედმიწევნით გაშლასთან ერთად ავტორის მიდგომებსაც საინტერესოდ გვაწვდიან. სნაიდერი თავის ერთ-ერთ ნაშრომში - *"უკრაინული პრობლემის საბოლოოდ გადასაჭრელად": უკრაინელთა ეთნიკური წმენდა პოლონეთში, 1943–1947" ("To Resolve the Ukrainian Problem Once and for All": The Ethnic Cleansing of Ukrainians in Poland, 1943–1947)* - აანალიზებს საბჭოთა კავშირის მიერ, პოლონეთის ხელით ჩატარებულ უკრაინელთა მასობრივი დეპორტაციის ოპერაციას, რომელიც უკრაინელთა მეხსიერებაში ერთ-ერთ შავ ლაქად რჩება. სნაიდერის შეხედულებით, პოლონეთში ეთნიკური უკრაინელების წინააღმდეგ წარმოებული წმენდა ერთგვარი შედეგი იყო ვოლინის ჟლეტის, რომელსაც ათიათასობით პოლონელი შეეწირა. ავტორის მოსაზრებით, ომის შემდგომ პერიოდში პოლონელებისა და უკრაინელების უუნარობა, ეცხოვრათ ერთად, მოჩვენებითი იყო, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა სახელმწიფოთაშორის პოლიტიკაზეც. მასობრივმა დეპორტაციამ და ამ დეპორტაციის განხორციელების ხერხებმა, რითაც "საბოლოოდ უნდა გადაჭრილიყო უკრაინელთა პრობლემა", სნაიდერის აზრით, უდიდესი წვლილი შეიტანა ორი ქვეყნის ნაციონალიზმის კონსოლიდაციისათვის. თუმცაღა, იგი მიდის დასკვნამდე, რომ პოლიტიკური ურთიერთობების გაუმჯობესება ორ მხარეს შორის ქმნის ხელსაყრელ პირობებს განსხვავებული მოგონებების განხილვისა და გადახედვისათვის (Snyder, 1999 pp. 86-120).

წიგნიში *“მეხსიერების პოლიტიკა პოლონეთსა და უკრაინაში” (The Politics of Memory in Poland and Ukraine: from reconciliation to de-conciliation)* ტომაშ სტრიიეკი და იოანა კონიეჩნა-სალამატინი აერთიანებენ სხვადასხვა ავტორის მოსაზრებებს, პოლონეთისა და უკრაინის ხელისუფლებებს შორის ისტორიულ საკითხებზე არსებულ უთანხმოებათა შესახებ. სხვა მკვლევართა მსგავსად ისინი აყალიბებენ მოსაზრებას, რომ 1918-1947 წლებში ორ ერს შორის მომხდარი კონფლიქტები მათი პოლიტიკური დაპირისპირებების მთავარ საფუძველს წარმოადგენს. ავტორები მიიჩნევენ, რომ ისტორიისა და მეხსიერების ძალზე აქტიური პოლიტიზირება პოპულისტური, კონსერვატიული და ნაციონალისტური ძალების მიერ, აღნიშნულ რეგიონს უნიკალურს ხდის დანარჩენი მსოფლიოსგან. 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში ომის დაწყების შედეგად, პოლონეთისა და უკრაინის თანამშრომლობა შედარებით მაღალ დონეზე ავიდა და ახალი განზომილება მიიღო. თუმცა, წიგნში ხაზგასმულია, რომ პოლონეთისა და უკრაინის იმდროინდელ პოლიტიკურ ელიტებში მაინც იყო გარკვეული ეჭვები. მათ არ სწამდათ, თავიანთი ქვეყნების პოლიტიკური შერიგების განგრძობითი ხასიათის, რადგან, როგორც ავტორები აღნიშნავენ, ამის მიღწევა მხოლოდ ისტორიულ შერიგებაზე დაფუძნებით შეიძლებოდა. სტრიიეკისა და კონიეჩნა-სალამატინის შეხედულებით ამ ორი ქვეყნის ისტორიული შერიგებისთვის ნიადაგის მზადება ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან დაიწყო. აღნიშნულის ინიციატორები პოლონელი და უკრაინელი პოლიტიკური ემიგრანტები გახლდენენ, რომელთა შორისაც გამოყოფენ პარიზში გამოცემული პოლონური ყოველთვიური გაზეთის, *„კულტურას“* გარემოცვას. ასევე აღნიშნავენ ეჟი გიედროიჩის, *“კულტურას”* მთავარი რედაქტორის, წვლილს, რომლის შეხედულებებსაც შემდგომში დაეფუძნა კიდეც პოლონეთის პოლიტიკა აღმოსავლეთ სამეზობლოს მიმართ (Tomasz Stryjek & Joanna Konieczna-Sałamatin, 2022, pp. 6-17).

2022 წლამდე მიმდინარე მოვლენების შეფასებისას, სტრიიეკი და კონიეჩნა-სალამატინი, სნაიდერისგან განსხვავებით (რომელიც 2001 წლამდე მოვლენების ანალიზს გვთავაზობს), აღნიშნავენ, რომ პოლონეთისა და უკრაინისთვის საერთო ისტორიის შესახებ კონსესუსის მიღწევა ბევრად რთული აღმოჩნდა, ვიდრე რუსეთთან მიმართებით თავიანთი

პოლიტიკების დაახლოება. თუკი 2005 წლამდე ურთიერთობები თბებოდა ორ ქვეყანას შორის, 2010 წლიდან რეგრესი დაიწყო, ხოლო 2015-2018 წლები კი უკვე "მეხსიერების ომის" პერიოდად ფასდება.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად შეიძლება მეხსიერების პოლიტიკამ გავლენა იქონიოს რეგიონის უსაფრთხოებაზე, ავტორებს უკრაინა - რუსეთის მაგალითი მოჰყავთ. მათი მტკიცებით, სწორედ ნარინჯისფერი რევოლუციის შემდგომ, რუსეთის მიერ დაწყებული მეხსიერების ომი იყო შემდგომში 2014 წლის ომის ერთ-ერთი საფუძველი. უკრაინაში OUN-ისა და UPA-ს სიმბოლოების პოპულარობის ზრდას კი სწორედ რევოლუციასა და შემდგომ აღმოსავლეთ უკრაინაში ომს უკავშირებენ. აღნიშნული უშუალო კატალიზატორი იყო მოსახლეობაში რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ოპოზიციის გამოხატვისთვის. სტრიიეკი და კონიეჩნა-სალამატინი პეტრო პოროშენკოს ადმინისტრაციის პერიოდში მეხსიერების პოლიტიკას არათანმიმდევრულად აფასებენ, რამაც მეოცე საუკუნის პერიოდის პარტიზანული მოძრაობების კულტის ორაზროვანი იმიჯის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. მიუხედავად იმისა, პოლონეთსა და უკრაინას შორის სამხედრო კონფლიქტების ალბათობა ძალიან მცირე გახლდათ, არც გამორიცხავდნენ ამას. ამ უკანასკნელის ყველაზე ძლიერ შემაჩერებელ ფაქტორად კი რუსეთისგან მომავალი საერთო საფრთხის აღქმას ასახელებდნენ (Tomasz Stryjek & Joanna Konieczna-Sałamatin, 2022, pp. 1-6).

ალექსანდრა ივანიუკი განიხილავს რა 2015-2017 წლებში პოლონეთსა და უკრაინას შორის მკვეთრად გაძლიერებულ მეხსიერების პოლიტიკას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მათ შორის დაძაბული ურთიერთობების გაგრძელება "lose-lose" შედეგის მომტანი იქნებოდა. იგი ზემოხსენებული პოლიტიკის გააქტიურებას გარკვეულწილად უკავშირებს ღირსების რევოლუციის შემდგომ სტეფანო ბანდერასა და უკრაინის მეამბოხეთა არმიის (UPA) სიმბოლიზაციის ზრდას, რასაც ვარშავის მწვავე კრიტიკაც ახლდა თან. ივანიუკს მოჰყავს უკრაინელი ისტორიკოსის, იაროსლავ ჰრიცაკის მტკიცება, რომლის მიხედვითაც 2014 წლის შემდგეგ უკრაინელების მხრიდან ბანდერასა და UPA-ს ჰეროიზაცია რეალურად არა

პოლონეთის, არამედ კრემლის წინააღმდეგ იყო მიმართული. ჰრიცაკის არგუმენტის თანახმად, ეს ელემენტები უკრაინელთათვის წარმოადგენს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოებს და არაფერი აქვთ საერთო უკრაინული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებასთან. მეორეს მხრივ, ივანიუკი გამოყოფს 2015 წელს მემარჯვენე, ნაციონალისტური განწყობების მქონე პოპულისტური პარტიის, "კანონი და სამართლიანობა" (Prawo i Sprawiedliwość PiS), პოლონეთის მთავრობაში მოსვლის როლს. ივანიუკის თქმით, უკრაინის მიმართ დამოკიდებულებაში PiS-ის პოლიტიკა მეოცე საუკუნის დასაწყისში პოლონეთის ხელთ არსებული დომინაციის ნოსტალგიით გახლდათ გაჯერებული. ხოლო უკრაინელები პოლონელებთან შედარებით ნაკლებად იყვნენ ისტორიაზე ორიენტირებულნი და, შესაბამისად, ნაკლებ ეთნონაციონალისტური იდენტობაც გააჩნდათ. სწორედ ამიტომ ბევრმა უკრაინელმა არც იცოდა იმ მოვლენების შესახებ, რაც პოლონელების ყურადღების ცენტრში მუდმივად იყო. შედეგად, უკრაინული მმართველი ელიტა ხშირ შემთხვევაში გაუაზრებელი ნაბიჯებით პოლონური მხარის პროვოცირებას ახერხებდა. მოსკოვი კი მუდამ სარგებლობდა ვარშავასა და კიევს შორის არსებული უნდობლობით (Iwaniuk, 2017)

ვლადისლავ ბელავუსოვი თავის სტატიაში, "*მეხსიერების კანონების აღზევება პოლონეთში - ადეკვატური ინსტრუმენტი ისტორიული დეზინფორმაციის წინააღმდეგ?" (The Rise of Memory Laws in Poland - An Adequate Tool to Counter Historical Disinformation?),* ყურადღებას ამახვილებს პოლონეთში მიღებულ მეხსიერების კანონებზე 2016-18 წლებში. მათ შორისაა 2018 წლის კანონი ისტორიული გამოხატვის შესახებ, რომელმაც ცვლილებები შეიტანა პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის აქტში. ავტორი ხაზს უსვამს აღნინული კანონის კომპონენტს, რომელიც მოითხოვს "უკრაინელი ნაციონალისტების" მიერ 1920-1950 წლებში ჩადენილი ისტორიული დანაშაულებების გამოძიებას. ბელავუსოვი აყალიბებს მოსაზრებას რომ 2010-იან წლებში მეხსიერების კანონების აღზევება როგორც პოლონეთსა და უკრაინაში, ისე მთლიანად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, გარკვეულწილად გამოწვეული იყო ე.წ. მეხსიერების ომებით, რომლის მთავარ წამხალისებლადაც რუსეთი გვევლინებოდა. რუსეთის მიერ წარსულის შესახებ

მიზანმიმართულმა პროვოკაციებმა და კონფლიქტური მეხსიერების წინ წამოწევამ განაპირობა შემდგომი პროცესების განვითარება. ავტორის შეხედულებით პოლონეთის მთავრობის მიერ მსგავსი კანონების მიღება ადასტურებდა ლიბერალური დემოკრატიის ვარდნას, რის გამოც PiS-ის ხელისუფლება რამდენიმე წლის განმავლობაში იღებდა კრიტიკას ევროკავშირისა და საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან (Belavusau, 2018).

ჯონ პრატერი, თავის ნაშრომში *"მეხსიერება და მისი ჩახშობა მე-20 საუკუნის პოლონეთსა და უკრაინაში" (Memory and Suppression in 20th Century Poland and Ukraine)* განიხილავს საბჭოთა რეჟიმის გავლენას ორი ერის კოლექტიური ტრავმების ჩამოყალიბებაში, მტკივნეულ მოვლენათა დავიწყების პროცესის სახესხვაობებსა და მათ შედეგებს. იგი, სხვა ავტორების მსგავსად, შენიშნავს, რომ პოლონეთისა და უკრაინის მიმართ საბჭოთა უსამართლობის ყველაზე მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს ხალხთა იძულებითი დეპორტაციები და მასთან დაკავშირებული გულაგის სისტემა. აღნიშნული დეპორტაციები გულისხმობდა 1939 წლიდან დაახლოებით 1.2 მილიონამდე პოლონელის ურალის მთების მიღმა გადაყვანას (Prather, 2022, pp. 33). დასავლეთ უკრაინაინაში მცხოვრები უკრაინელები კი პოლონეთის ახლადშემოერთებულ ტერიტორიებზე ჩაასახლეს გაბნეულად. პრატერი მიიჩნევს, რომ აღნიშნული დეპორტაციები და ხალხთა მიმოცვლები თავისი შედეგებით ჰოლოდომორის მიერ მიყენებულ ტრავმასაც კი უტოლდებოდა ერთა მეხსიერებაში. იგი განიხილავს ერების მიერ ისტორიული მეხსიერებისა და მოვლენების დავიწყების სახესხვაობებს პოლონეთისა და უკრაინის მაგალითზე. აღნიშნავს, რომ საბჭოთა რეჟიმის პოლიტიკა მეხსიერებასთან მიმართებით იყო ხისტ ინსტრუმენტებზე დაფუძნებული. თუკი ეს ერთის მხრივ, ძალისმიერ დავიწყებას უწყობდა ხელს, მეორე მხრივ, ერთა კოლექტიურ ტრავმებს ამძაფრებდა. ეს პოლიტიკა პოლონელებსა და უკრაინელებზეც ვრცელდებოდა, რამაც წარმოშვა ეროვნული ტრავმები და დღემდე მოყოლილი დაუცველობის განცდა. ამ ორი ერის აღნიშნული გამოცდილება განსაკუთრებით სინქრონიზდება ერთმანეთთან. პოლონეთ - უკრაინის დღევანდელი მდგომარეობა წარსულის ტრაგიკული ფაქტების გამორკვევა-დავიწებასთან მიმართებით შედარებით უფრო განსხვავებულია და დიდწილად ბიძგს იღებს საზიარო მტრისგან მომავალი შიშისგან (Prather, 2022 pp. 36-40). პრატერი

მსჯელობისას იშველიებს მეხსიერების მკვლევარის, პოლ კონერტონის მიდგომებს. თუ გადავხედავთ კორენტონის ნაშრომს, დავინახავთ, რომ იგი საზოგადოებების მიერ დავიწყების რამდენიმე ტიპს გამოყოფს. მათი ნაწილი სრულიად ბუნებრივ პირობებში, ბუნებრივადვე ხდება. ნაწილის სპეციფიკა კი დამახასიათებელია ტოტალიტარული რეჟიმებისთვის. მაგრამ ასევე არსებობს "პრესკრიპტული დავიწყება", რომელიც ასევე სახელმწიფოს ქმედებებითაა გამოწვეული. თუმცა, ამ შემთხვევაში ორივე მხარის ინტერესშია კონკრეტული მოვლენების დროებითი, თუ სამუდამო დავიწყება (Connerton, 2008, pp. 61-63). პრატერი თავის ნაშრომში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პოლონელებსა და უკრაინელებს წარსული მტრობის გარდა აერთიანებთ გაზიარებული ტრაგედიები, რომელთა გადააზრების საფუძველზე შესაძლებელი ხდება უთანხმოებათა დავიწყება. ორივე ერმა საკუთარ თავზე გამოსცადა ტოტალიტარული რეჟიმების სიმწვავე და რეპრესიების მასშტაბები. მათ შორის არსებული ღრმად ფესვგადგმული ისტორიული წყენების მიუხედავად, პრატერს სრულიად შესაძლებლად მიაჩნია სწორი პოლიტიკითა და მიდგომებით ახალი ტრანსნაციონალური მეხსიერების შექმნა და საერთაშორისო სოლიდარობზე დაშენება. მკვლევარის შეხედულებით, პოლონეთისა და უკრაინის ისტორიულ შერიგებაზე დაფუძნებული თანამშრომლობა მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი იქნება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში კოლექტიური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებისათვის (Prather, 2022).

თეორიული ჩარჩო

აღნიშნული საკითხის შესწავლისა და ანალიზისათვის, ისევე როგორც ცვლადებს შორის არსებული კაუზალური კავშირის დასადგენად აუცილებელია შევიმუშავოთ კონკრეტული თეორიული ჩარჩო და მოვარგოთ საკვლევ თემას. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ქეისში საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართათვის საყურადღებო ბევრი ასპექტია გამოკვეთილი, საინტერესო იქნება ორი თეორიის – კონსტრუქტივიზმისა და ნეორეალიზმის – ჭრილში მისი განხილვა. აღნიშნული თეორიები დაგვეხმარებიან მაქსიმალურად მრავლისმომცველად ავხსნათ სახელმწიფოთა ქმედებები.

როცა ვსაუბრობთ კოლექტიურ მეხსიერებაზე, იდენტობებსა და აღქმების ცვლილებაზე, რთულია გვერდი ავუაროთ საერთაშორისო ურთიერთობების ისეთ თეორიას, როგორიც კონსტრუქტივიზმია. კონსტრუქტივიზმის აღმასვლა ცივი ომის ბოლო პერიოდიდან იწყება და რეალიზმთან და ლიბერალიზმთან ერთად ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორიაა. მან მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა ემპირიული კვლევების მიმართულებით და ახალი მიდგომები შემოიტანა საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში. აღნიშნული თეორიის ერთ-ერთ მთავარ აპოლოგეტად ალექსანდრ ვენდტი გვევლინება. იგი აყალიბებს, რომ „აგენტთა“ (სახელმწიფოთა) ქმედებები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია გაზიარებული სოციალური რწმენის, ღირებულებებისა და იდეების საფუძველზე. იგი, ასევე, ყურადღებას ამახვილებს “აგენტების” მიერ თავიანთი თავისა და ინტერესების ჩამოყალიბეებაზე სხვა აქტორებთან მიმართებით (Viotti & Kauppi, 2012, pp. 277-279). კონსტრუქტივიზმს მრავალი განზომილება გააჩნია. ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ამტკიცებს სახელმწიფოთა ინტერესებისა და იდენტობების მჭიდრო კავშირს, რომლებიც მუდმივად ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე და განსაზღვრავენ ერთი ქვეყნის ურთიერთოებებს სხვა ქვეყნებთან (Pevehouse & Goldstein, 2014, pp. 97-99). კონსტრუქტივისტები სახელმწიფოთა ინტერესებსა და იდენტობას უყურებენ როგორც ისტორიული პროცესების შედეგად მიღებულ პროდუქტს. უფრო მეტიც, მათი ყურადღება გამახვილებულია საზოგადოებაში გაბატონებულ დისკურსზე. სწორედ

გაბატონებული დისკურსი ცვლის და ადგენს მიღებულ ნორმებსა და ღირებულებებს. (Theys, 2018) აღნიშნული თეორიით შეგვიძლია ავხსნათ პოლონელებისა და უკრაინელების მიერ ერთმანეთის მოკავშირეებად აღქმის ტრანსფორმაცია. მათი გაზიარებული ხედვა რუსეთთან, როგორც საერთო მტერთან მიმართებით განაპირობებს აქტორთა თანხვედრილ ინტერესებსა და ერთობლივ ქმედებებს.

მეორე მხრივ, უსაფრთხოების ალიანსებზე ფოკუსირებისას საინტერესოა განვიხილოთ სტრუქტურული რეალიზმი, რომელსაც ფართო აკადემიურ წრეებში ნეორეალიზმის სახელითაც მოიხსენიებენ. აღნიშნული თეორია ასოცირდება ქენეთ უოლცის სახელთან, რომელიც ფოკუსს ე.წ. „top-down" მიდგომაზე აკეთებს. საერთაშორისო სისტემის ცვლილებები სახელმწიფოებს უბიძგებს მოქმედებებისა და ალიანსების ჩამოყალიბებისკენ. ალიანსი კი, როგორც ამას გლენ სნაიდერი თავის წიგნში „ალიანსების თეორია" წერს, მოწინააღმდეგისგან თავის დაცვის ინსტრუმენტად არის მიჩნეული. (Snyder, 1990, pp. 105-119). ნეორეალიზმი პოლონეთისა და უკრაინის მოკავშირეობას რეგიონული ძალთა ბალანსის ცვალებადობის პერიოდში რუსეთისგან მომავალი საფრთხისგან თავის გადარჩენის ბუნებრივ გზად განიხილავს. პოლონეთის პოლიტიკური ელიტები მუდმივად იაზრებდნენ რუსეთისგან მომავალ შესაძლო საფრთხეებს. თუკი 1947 წელს პოლონეთი საბჭოთა კავშირთან ერთად „უკრაინელების პრობლემის გადაჭრას" მათი მასობრივი გადასახლებებით ცდილობდა, 2023 წელს ნატოს წევრი პირველი ქვეყანაც კი ხდება, რომელიც „უკრაინის პრობლემის გადაჭრას" მოიერიშე თვითმფრინვებს მიწოდებით ცდილობს (Mortensen, et al., 2023). ნათელია, საერთაშორისო სისტემის ცვლილებების ფონზე ორივე სახელმწიფოს დღის წესრიგი და გამოწვევები იმდენად მოვიდა თანხვედრაში ერთმანეთთან, მოუშუშებელი იარებიც კი დაავიწყა მხარეებს.

XX საუკუნე პოლონეთ - უკრაინის კონფლიქტურ მეხსიერებაში

მეოცე საუკუნე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისათვის მართლაც განსაკუთრებით მწვავე და სისხლიანი აღმოჩნდა. იელის უნივერსიტეტის მკვლევარმა, ისტორიკოსმა ტიმოთი სნაიდერმა აღნიშნულ ტერიტორიებს „სისხლიანი მიწებიც“ (Bloodlands) კი უწოდა. კონკრეტულად, „სისხლიან მიწებში“ მოიაზრება ცენტრალურ პოლონეთსა და რუსეთის საზღვრებს შორის არსებული ტერიტორიები, რაც მოიცავდა აღმოსავლეთ პოლონეთს, ბალტიისპირეთის ქვეყნებს, ბელარუსსა და უკრაინას (Ascherson, 2022). ეს შესატყვისი ყველაზე ზუსტი და მარტივი ფორმულირებაც შეიძლება იყოს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მხოლოდ ომთაშორის პერიოდში ათობით მილიონი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა ამ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესებს. ორმა მსოფლიო ომმა შედეგად სახელცვლილი პოლიტიკური რუკები და კოლექტიური ტრავმები დაუტოვა აქ მცხოვრებ ერებს. მიუხედავად გაზიარებული ტკივილისა, ნაცისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მიერ გადათელილ უკრაინასა და პოლონეთს ორმხრივი მტრობა და ეთნიკური წმენდებიც მრავლად აკავშირებს ერთმანეთთან. ორივე მხარეს თავისი არგუმენტები და მოვლენათა შესახებ ურთიერთსაპირისპირო ინერპრეტაციები გააჩნია. იმისათვის, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ბოლო წლებში არსებული ურთიერთობების დინამიკა გავიაზროთ, მნიშვნელოვანია წარსული ტრაგიკული მოვლენების ანალიზი, რამაც ორივე მხარის იდენტობის ფორმირება განაპირობა.

ისტორიულ - მითოლოგიური ბაზისები

როგორც პოლონელების, ისე უკრაინელების ეროვნულ იდენტობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეროვნული მოწამეობის იდეასა და მითოლოგიურ ნარატივებს. პოლონელებში აღნიშნულის როლი “საზღვისპირეთის” იმავე “Kresy”-ს მითმა შეასრულა, რომელიც გულისხმობს დღევანდელი პოლონეთის საზღვრისპირა რეგიონებში პოლონური კულტურის დომინაციას. აღნიშნული, მოიცავს პოლონეთ - ლიტვის

თანამეგობრობის დროინდელ ტერიტორიებს, რომელიც XIV-XVIII საუკუნეებში პოლონეთის ტერიტორიებს წარმოადგენდა და გარწკვეულწილად "დაკარგული სამოთხის" ადგილიც კი უჭირავს პოლონელთა მეხსიერებაში (Portnov, 2016). უკრაინის დღევანდელი ტერიტორიის დიდი ნაწილი აწ უკვე გაუფერულებული პოლონური სენტიმენტების წყაროდაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. ამის საპირისპიროდ, უკრაინელებს ჰეროიზებული ჰყავთ პოლონეთ - ლიტვის თანამეგობრობის ქვეშ პოლონური იმპერიული წნეხის წინააღმდეგ მებრძოლი კაზაკები. მე-17 საუკუნე სავსე იყო კაზაკთა და პოლონელთა შეტაკებებით. აღნიშნულმა კიდეც განსაზღვრა უკრაინელების ანტი-პოლონური ეროვნული მეხსიერება. პოლონეთ - ლატვიის თანამეგობრობის ქვეშ კაზაკები მეორეხარისხოვან ფენას, ძირითადად გლეხებს წარმოადგენდნენ (Prather, 2022, pp. 40-41). ხოლო პოლონელი დიდებულები და მაგნატები, რომლებიც დაწინაურებულები იყვნენ და სარგებლობდნენ პრივილეგიებით, მართავდნენ კაზაკთა უკრაინულ მიწებს და ამ უკანასკნელთ წნეხშიც ამყოფებდნენ. უკრაინელთა ეროვნული აღქმისა და იდენტობის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ პოლონური ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებულ კაზაკებს აქვთ. მართლმადიდებლობის დაცვისა და სოციალური გარანტიების მიღების მოთხოვნით დაწყებულ კაზაკთა ყველაზე დიდ აჯანყებას ბოგდან ხმელინცკი მეთაურობდა. იგი სხვა დაუმორჩილებელ კაზაკებთან ერთად უკრაინული ლეგენდარიზებული მითების ნაწილი გახდა (Portnov, 2022, pp. 22-32). შესაბამისად, უკრაინული კულტურა და აღქმები ვითარდებოდა საზოგადოებაში, რომლისთვისაც პოლონელები უკრაინელთა შემვიწროვებლებსა და კოლონიზატორებს წარმოადგენდნენ. ხოლო პოლონელებისთვის აღმოსავლეთი მიწები, განსაკუთრებით კი ლვოვი (დღევანდელი ლვივი), თავიანთი ქვეყნის ისტორიულ ნაწილს წარმოადგენდა. ზემოაღნიშნულ დაპირისპირებებსა და მეხსიერებაზე დაყრდნობით, მეოცე საუკუნეში თითქმის შეუძლებელიც კი ჩანდა პოლონეთისა და უკრაინის თანამეგობრობა, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამავე პერიოდში განვითარებულმა შემდგომმა მოვლენებმა. შეიძლება ითქვას, კაზაკთა და პოლონელთა მტრობას ნაწილობრივ კიდეც დაეყრდნო მეოცე საუკუნის კონფლიქტები აღმოსავლეთ გალიციისთვის.

ბრძოლა აღმოსავლეთ გალიციისათვის

პოლონეთ - უკრაინის წარსული კონფლიქტის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს სწორედ აღმოსავლეთ გალიციის თემატიკა წარმოადგენს. ავსტრია - უნგრეთის იმპერიის დაშლის შემდეგ როგორც პოლონეთმა ისე უკრაინამ აღმოსავლეთ გალიციის ტერიტორიაზე კონტროლის დამყარება დაისახეს მიზნად. ამ დროისათვის დიდ ქალაქებში, მათ შორის ლემბერგში (დღევანდელი ლვივი/Lviv; პოლონურად - ლვოვი/Lwów) მოსახლეობის უმრავლესობას, დაახლოებით 50 პროცენტს, პოლონელები წარმოადგენდნენ. პოლონელების შემდეგ რაოდენობით ჭარბობდნენ ებრაელები, შემდეგ კი უკრაინელები. ამის საპირისპიროდ, სოფლებსა და სხვა დასახლებებში ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფი უკრაინელებისგან შედგებოდა. პოლონური ელიტა კი ადგილობრივ ხელისუფლებაში მნიშვნელოვანი პოზიციებით იყო წარმოდგენილი და ძირითად ძალაუფლებასაც ფლობდა. ამის გამო, მეოცე საუკუნის დასაწყისშივე ლვოვში ნაციონალისტური სენტიმენტები და ანტისემიტიზმი მკვეთრად შეინიშნებოდა (Reichl-Ham, 2019).

აღმოსავლეთ გალიციისთვის ომი 1918 წელს პოლონეთსა და დასავლეთ უკრაინის სახალხო რესპუბლიკას (*Zakhidnoukrayins'ka Narodna Respublika,* ZUNR) შორის დაიწყო და 1919 წლის ივლისამდე გასტანა. შედეგად 1920 წელს ხელი მოეწერა ვარშავის ხელშეკრულებას და პოლონეთმა აღმოსავლეთ გალიციისა და ვოლინის რეგიონები დაიკავა (Dudko, 2014). აღნიშნული ომის ირგვლივ არსებული ინტერპრეტაციები თუ ბრალდებები, სადაც ორივე ერს საკუთარი სიმართლე გააჩნია, შემდგომი არაერთი დაპირისპირების საბაბი გამხდარა. უახლოეს წარსულში ამ თემასთან დაკავშირებული ორმხრივი მიმოხილვების მთავარ საკითხს კონფლიქტის მემორიალიზაცია და მის შედეგად სხვადასხვა ბრძოლებში დაღუპულთათვის პატივის მიგება წარმოადგენდა. ომში გარდაცვლილთა მემორიალების თაობაზე დისკუსიები 1980-იანი წლებიდან დაიწყო და 2000-იან წლებშიც კი გრძელდებოდა. ისტორიული დებატები, შესაბამისადვე, საკუთარ გავლენას ახდენდა ორი

ქვეყნის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც შემდგომ ქვეთავებში ნაშრომი დეტალურად განიხილავს.

ვოლინისა და აღმოსავლეთ გალიციის ჟლეტები

აღმოსავლეთ გალიციის კონფლიქტმა საძირკველი გაუმყარა პოლონეთისა და უკრაინის სისხლიან დაპირისპირებებს მეოცე საუკუნეში. 1943-44 წლებში უკრაინელ მეამბოხეთა არმია UPA-სა და უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციია OUN-ის დაჯგუფებების თაოსნობით ვოლინისა და აღმოსავლეთ გალიციის რეგიონებში ეთნიკური ნიშნით უამრავი პოლონელი მოკლეს, რაც პოლონეთის საზოგადოებრივი მეხსიერების მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამ მოვლენებს 50-დან 100 ათასამდე პოლონელის სიცოცხლე შეეწირა, რომელთა შორისაც უმეტესობა გლეხები იყვნენ (Snyder, 2003, pp. 202-201).

ვოლინისა და აღმოსავლეთ გალიციის ეთნიკურ წმენდებში მკვეთრად ფიგურირებს OUN-B-ის (OUN-ის დაჯგუფება) ერთ-ერთი ლიდერის, სტეფანო ბანდერას სახელი, რომელიც პოლონური წყაროების მტკიცებით ყველაზე მეტი სისასტიკით გამოირჩეოდა მშვიდოებიანი მოსახლეობის, მათ შორის ქალებისა და ბავშვების მიმართ. ამ ნარატივის საპირისპიროდ, უკრაინისთვის ბანდერა საბჭოთა კავშირთან ბრძოლის სიმბოლოსა და უკრაინელთა ეროვნულ გმირს წარმოადგენს. იგი კვლავ დავის საგნად რჩება და სენსიტიური დატვირთვა აქვს პოლონურ - უკრაინულ ურთიერთობებში (Goncharenko, 2022). ფაქტია, OUN და UPA თავიან დოკუმენტებში პოლონელების მასობრივ მკვლელობებს "ანტი-პოლონური ოპერაციის" სახელწოდებით მოიხსენიებდნენ და პირდაპირ მიუთითებდნენ უკრაინის "პოლონური ელემენტებისგან" გაწმენდის საჭიროებაზე. მათი მიზანი ეთნო-ნაციონალური თვალსაზრისით ჰომოგენური უკრაინის შექმნა გახლდათ, რათა მოესპოთ ყველანაირი გარე, განსაკუთრებით პოლონური, ამბიციები უკრაინულ მიწებზე (Motyka, 2022, pp. 87- 91) ამას ემატებოდა ანტი-პოლონური სენტიმენტებიც, რაც ომთაშორის პერიოდში პოლონელების დომინაციითა და ისტორიული დავებით იყო განპირობებული. იმისათვის რომ პოლონელთა მასობრივ მკვლელობებს წინასწარ

დაგეგმილი სახე არ ჰქონოდა, UPA მაქსიმალურად ცდილობდა ამ ყველაფრისთვის სპონტანური გლეხთა აჯანყებების ფორმა მიეცა. ამიტომაც, ადგილობრივი პოლონელი გლეხების ჟლეტისას ისინი იარაღად ნაჯახს იყენებდნენ და უკრაინელ გლეხებსაც აიძულებდნენ ჩართულიყვნენ პოლონელთა წამებაში, რასაც ზოგიერთ შემთხვევაში კათოლიკურ ეკლესიებშიც კი აღასრულებდნენ (Portnov, 2016). პოლონურ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, UPA-ს მოქმედებების საპასუხოდ, ჩამოყალიბდა პოლონური მიწისქვეშა დაჯგუფება "ეროვნული არმია", იგივე Armia Krajowa - AK. AK-ს "შურიძიების ოპერაცია" მიმართული იყო უკრაინელი მშვიდობიანი მოსახლეობისკენ, რასაც დაახლოებით 10-15 ათასი უკრაინელი შეეწირა (Grzegorz, 2022, pp. 298). მეორეს მხრივ, უკრაინული ნარატივის მიხედვით სწორედ AK-ს მიერ ხოლმშინას (უკრაინულად- Kholmshchyna; პოლონურად - Chełmszczyzna) რეგიონში უკრაინელთა მასობრივი ხოცვა გახდა მიზეზი, რის გამოც უკრაინელმა ნაციონალისტებმა პოლონელების წინააღგმდეგ მოქმედებები დაიწყეს. ამასთანავე, საინტერესოა, რომ უკრაინულ წყაროთა ნაწილი ხაზს უსვამს NKVD-ს აქტიურ ჩართულობას როგორც პოლონელების, ისე უკრაინელების ხოცვაში. (Moskva, 2022, pp. 154-155)

აღმოსავლეთ გალიციისა და ვოლინის ტრაგიკული მოვლენების განხილვისას, კვლევისთვის მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ კონფლიქტის დამწყები მხარის გარდა სპეკულაციები კონფლიქტთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიასაც ეხება. მაგალითისთვის პოლონური მხარე იყენებს ტერმინს "ვოლინის ჟლეტა", სახელმწიფო დონეზე კი ვოლინის მოვლენები უკრაინელი ნაციონალისტების მიერ პოლონელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ გენოციდადაა განსაზღვრული. 2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე, აქტიურად მიმდინარეობდა ამ ტერმინის წახალისება. ხოლო უკრაინული მხარე შედარებით ნეიტრალურ სახელს, "ვოლინის ტრაგედიას" ამჯობინებს (Moskva, 2022, pp. 151). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუკი პოლონურ მეხსიერებაში ზემოგანხილული მოვლენები თვალსაჩინო და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, უკრაინელების (განსაკუთრებით, აღმოსავლეთ უკრაინელების) შემთხვევაში ცნობიერება ამ საკითხთან დაკავშირებით მუდამ ნაკლები იყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკრაინულ საზოგადოებაში

არ ყოფილა იმდენად პოპულარული ეს საკითხი, რამდენადაც პოლონურში. ამიტომაც, პოლიტიკურ ელიტებს მეტი სპეკულაციებისა და ინტერპრეტაციების საშუალება ეძლეოდათ. ალექსანდრე რაზუმკოვის სახელობის ეკონომიკური და პოლიტიკური კვლევის ცენტრის მიერ 2003 წელს უკრაინაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, უკრაინელ რესპოდენტთა დაახლოებით 50%-ს ვოლინში მომხდარ თემებთან დაკავშირებით ინფორმაცია საერთოდ არ ჰქონდა. ხოლო 40%-ის აზრით, აღნიშნულ პერიოდში გარდაცვლილთა პატივის მისაგებად ყოველწლიური ხსენების დღე არ უნდა გამოყოფილიყო (Berdychowska, 2003, pp. 69-70). ეს მაშინ, როცა პოლონელებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს სწორედ კონფლიქტის მსხვერპლთა მემორიალიზაცია წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, პოლონური მხარე ვოლინის მოვლენებს ხშირად დავიწყებული/იგნორირებული გენოციდის სახელით მოიხსენიებს, რაც ერთმნიშვნელოვნად იწვევდა პოლონური ეროვნული მოწამეობისა და წარსული დიდების სენტიმენტების გაღვივებას საზოგადოებრივ თუ სახელმწიფო დონეზე.

პოლონეთ - უკრაინის ურთიერთაღქმა და "უკრაინული პრობლემის გადაჭრის" გზა

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან პოლონეთის საგარეო პოლიტიკას, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ მეზობლებთან ურთიერთობას, ძირითადად, "გიედროიჩის დოქტრინა" განსაზღვრავდა. იეჟი გიედროიჩი, პოლონელი ემიგრანტების მიერ პარიზში დაფუძნებული ჟურნალის, "კულტურას" რედაქტორი გახლდათ. "კულტურა" ცივი ომის პერიოდში ყველაზე გავლენიანი გამოცემა იყო, რომელიც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის თემატიკებს ფარავდა. სწორედ ამ ჟურნალს უკავშირდება 1970-იან წლებში პოლონელი და უკრაინელი პოლიტიკური ემიგრანტების ინიციატივით დაწყებული განხილვები ორი ქვეყნის ისტორიული შერიგების პროცესზე. გიედროიჩმა, მიეროშევსკითან და სხვა თანამოაზრეებთან ერთად, კოსმოპოლიტიზმით გაჯერებული ლიბერალური ხედვები წამოაყენა. "კულტურას" გამოცემამ, რაღაც მხრივ, დიდი როლი ითამაშა რეგიონში პოლონეთის ადგილისა და მისი ეროვნული ინტერესების გადახედვაში. ამასთანავე, 1990-იან წლებში პოლონეთის საგარეო პოლიტიკის შემუშავების სახელმძღვანელოც კი გახდა (Pietrzak, 2023). მისმა უპრეცედენტო ფენომენმა განუზომელი წვლილი შეიტანა პოლონეთის პოლიტიკური აზროვნების გარდატეხასა და მათ მიერ აღმოსავლეთ სამეზობლოს აღქმაში. გიედროიჩ - მიეროშევსკის დოქტრინა, რომელიც დომინანტური სტრატეგია გახლდათ პოსტ-კომუნისტურ პოლონეთში, ხაზს უსვამდა ყოფილ საბჭოთა და სოციალისტურ სახელმწიფოთა ერთმანეთთან დაახლოების მნიშვნელობას, ყოველგვარი იმპერიული ზრახვებისა და ერთმანეთზე კონტროლის მოპოვების გარეშე. იგი მოუწოდებდა პოლონეთის ხელისუფალთ დაევიწყებინათ ისტორიული წყენების ფონზე არსებული პრეტენზიები და ძალისხმევა აღმოსავლეთ სამეზობლოსთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე მიემართათ. შეიძლება ითქვას, რომ გიედროიჩი ერთ-ერთი პირველი იყო პოლონელ მოაზროვნეთა შორის, რომელიც აუცილებელ პირობად მიიჩნევდა პოლონეთის ექსპანსიონისტურ ამბიციებზე უარის თქმას ეროვნული გადარჩენისა და რეგიონლური სტაბილურობის მიღწევის მიზნით. მისი აზრით

პოლონეთ - ლიტვის თანამეგობრობის პერიოდში პოლონეთის დაქვემდებარებაში არსებულ ტერიტორიებზე დავის დრო არ ჰქონდათ ქვეყნის პოლიტიკური აღორძინების პარალელურად (Konończuk, 2018b).

პოლონური ინტელიგენცია მუდამ აანალიზებდა რუსეთისგან მომავალ საფრთხეს და არ წყვეტდა დასავლეთის გაფრთხილებას კრემლის რევიზიონისტული და ნეოიმპერილისტური ჩანაფიქრების შესახებ. ხოლო მეოცე საუკუნეში ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკური ელიტა სწორედ უკრაინას განიხილავდა რუსეთის იმპერიალიზმის ჩამოშლის ერთადერთ გასაღებად. "კულტურაც" აღმოსავლეთ პოლიტიკის განხილვასთან ერთად განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა "უკრაინელთა პრობლემის გადაჭრის" ახალ ხედვას. კიევი - ვარშავის მტკიცე ალიანსი ორივე სახელმწიფოს დაეხმარებოდა საერთო გეოპოლიტიკური, სტრატეგიული მიზნების მიღწევასა და რეგიონში უსაფრთხოების ღერძად გარდარქმნაში (Pietrzak, 2023).

იქიდან გამომდინარე, რომ ამ საერთო სტრატეგიულ მიზნებში პოლონეთი მოწინავე აღმოჩნდა, უკრაინას მოუწია შეგუებოდა ამ უკანასკნელის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას. თუმცაღა ვარშავა კიევის უპირობო ადვოკატად გვევლინებოდა ორივე გაერთიანებაში. თუ გადავხედავთ პოლონეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას, დავინახავთ რომ პოლონეთის ორხმრივი, რეგიონული და გლობალური თანამშრომლობების ერთ-ერთ მთავარ ელემენტადაა დასახული უკრაინის (ისევე როგორც საქართველოსა და მოლდოვის) დახმარება ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების განსახორციელებლად. სტრატეგია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ევროკავშირის ჩართვას აღმოსავლეთ სამეზობლოს უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და გაფართოების პოლიტიკის შენარჩუნებაში (National Security Bureau, 2020, pp. 24). პოლონეთის მხრიდან 2010-იან წლებში უკრაინასთან მიმართებით წარმოებული მეხსიერების პოლიტიკის მიუხედავად, 2020 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში რამდენჯერმეა ნახსენები რუსეთის მხრიდან უკრაინის მიმართ არსებული აგრესიის გავლენა რეგიონულ თუ ეროვნულ უსაფრთხოებაზე. ვარშავა ეროვნული ინტერესების განსაზღვრისას საკუთარ

თავს აღიქვამს როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს საერთაშორისო წესრიგის ფორმირებისთვის, რაც დაფუძნებული უნდა იყოს სოლიდარობასა და საერთაშორისო სამართლის ნორმებზე (National Security Bureau, 2020, pp. 6-24). ვფიქრობ, სწორედ რუსეთის ამბიციების სწორი აღქმისა და საკუთარი რეგიონული როლის წინ წამოწევა გახლდათ მთავარი წყარო უკრაინასთან სტრატეგიული თანამშრომლობის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში გაწერისათვის.

პოლონეთის მსგავსად, უკრაინამაც 2020 წელს შეიმუშავა ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგია. აღნიშნული, პოლონური დოკუმენტისგან განსხვავებით, საკუთარი როლის წარმოჩენის ნაცვლად საერთაშორისო არენაზე სტრატეგიული პარტნიორების იერარქიულ წყობას გამოყოფს. თუკი პირველ ადგილზე გამოყოფილი არიან ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი და სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნები, პოლონეთი მეორეხარისხოვან პარტნიორთა შორისაა ნახსენები, აზერბაიჯანთან ერთად (Указ Президента України №392, 2020). შესაძლოა, ეს პოლონეთს თავის მნიშვნელობას არ უკარგავდა უკრაინის უსაფრთხოების პოლიტიკისთვის, თუმცა წარმოაჩენდა უკრაინული პოლიტიკური ელიტის აღქმას მეზობელ ქვეყანასთან მიმართებით. ფაქტია, მათთვის რთული იყო 2020 წელს იმის დაჯერება, რომ პოლონეთი შეძლებდა მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენას უკრაინის უსაფრთხოების ფორმირებასა და რუსული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მიუხედავად იმისა, რომ თითქოს პოლონეთის პოლიტიკური ელიტების ისტორიულ არჩევანს წარმოადგენდა უკრაინა, ორი ერის მიერ გასული საუკუნის დასაწყისში ერთმანეთისთვის მიყენებული ჭრილობები დიდ გავლენას ახდენდა მოსახლეობის აღქმებზე. ამას ემატებოდა უკრაინის მხრიდან შედარებით პასიური დამოკიდებულება როგორც წარსული კონფლიქტების მემორიალიზაციის, ასევე ახალი ინიციტივების მიმართ. საზოგადოებრივი გამოკითხვების მიხედვით, პოლონელების მხრიდან უკრაინელებთან მიმართებით ნეგატიური შეხედულებები მძლავრობდა 1990-იან წლებში. 1993-95 წლების პერიოდში პოლონეთის საზოგადოებრივი გამოკითხვის ცენტრის მიერ ჩატარებული

კვლევებით, კითხვაზე თუ როგორ აღწერდნენ მათ დამოკიდებულებას სხვა ერების მიმართ, პასუხების საშუალო ქულების მიხედვით, უკრაინას (დაახლ. -1.2 ქულით) ერთ-ერთი ყველაზე უარყოფითი, რუსეთზე (დაახლ. -0.9 ქულა) ნაკლებიც კი, შედეგი აქვს (Polish Public Opinion, 2000a). 2000 წლის ბოლოს ჩატარებული გამოკითხვითაც უკრაინა ყველაზე ნაკლებ მოწონებული ქვეყნების რიცხვში იყო (Polish Public Opinion, 200b). საზოგადოებრივი აღქმები პოლიტიკური შეხედულებების ფორმირებას თავისთავად უწყობდა ხელს, რამაც თავისი გამოვლინება პოლონეთის საგარეო პოლიტიკაში ყველაზე მეტად 2010-იან წლებში ჰპოვა. იმდენად, რომ გიედროიჩის დოქტრინის ვალიდურობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშაც კი დადგა.

პოლონეთ - უკრაინის „მეხსიერების ომი“

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში 2010-იანი წლები განსაკუთრებით გამოირჩეოდა მეხსიერების პოლიტიკის აღზევებით. ამას გარკვეულწილად რუსული პროპაგანდა და წარსული მოვლენებით სპეკულაციებიც უწყობდა ხელს. რუსეთის მიერ ისტორიული ფაქტების დამახინჯებისა და მოვლენებით სპეკულირების მცდელობები, უხეშად რომ ვთქვათ, “დაგვირგვინდა” კიდეც აღმოსავლეთ უკრაინაში ომის წამოწყებითა და ყირიმის ანექსიით. თუმცაღა პოლიტიკისა და ისტორიის ერთმანეთში აღრევის ტენდენცია ყოფილი სოციალისტური ბლოკის ქვეყნებშიც გადაიღვარა. ამ ტენდენციამ წინ წამოწია პოლონეთისა და უკრაინის ისტორიულ ურთიერთობათა კონტექსტიც, რომელიც, შეიძლება ითქვას, პოლონელებისათვის მუდამ მეხსიერების ზედაპირზე იყო. გასული დეკადის განმავლობაში პოლონეთი ევროკავშირთან ერთგვარ დაპირისპირებაშიც კი შევიდა მეხსიერებასა და იდენტობაზე მკვეთრად ფოკუსირებული პოლიტიკით. თუკი ამ ორი ქვეყნისთვის მეოცე საუკუნის გარკვეული პერიოდი უშუალო სისხლისღვრებითა და დაპირისპირებებით გამოირჩეოდა, ახალ საუკუნეში ეს უკანასკნელნი პოლიტიკური ინსტრუმენტებითა და მეხსიერებათა დაპირისპირებებით ჩანაცვლდა. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთი უკრაინის დასავლური ინტეგრაციის იდეის მიმართ მუდამ მხარდაჭერას გამოხატავდა, გასული ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებით ორიენტირდა ტრაგიკულ მეხსიერებაზე. ამას ხელი შეუწყო პოლონეთის ხელისუფლების სათავეში მემარჯვენე ნაციონალისტური პარტიის, “კანონი და სამართლიანობა”, მოსვლამ. წინამდებარე თავში განვიხილავთ პოლონეთისა და უკრაინის მეხსიერების პოლიტიკას, მათ შორის არსებულ “მეხსიერების ომს” და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და გამოხმაურებებს.

ურთიერთმიმართული მეხსიერების კანონები

2015 წლის პოლონეთის საპარლამენტო არჩევნებში მემარჯვენე პოპულისტური პარტია “კანონი და სამართლიანობას” (PiS) გამარჯვების შემდეგ, ვარშავამ უკრაინის მიმართ ისტორიაზე მკაფიოდ ორიენტირებული პოლიტიკა დაიწყო. PiS-ის სათავეში მოსვლით

პოლონეთის პოლიტიკაში დომინანტური გახდა პოლონური დიდების დღეების ნოსტალგიით გაჯერებული ნარატივები. უკრაინის მიმართ ახალებური პოზიცია ასევე წახალისებული იყო ახალი უკრაინული ეროვნული იდენტობის ფორმირების დაჩქარებული პროცესით. თავად ეს უკანასკნელი კი 2014 წელს რუსული აგრესიის დაწყების პროდუქტად შეგვიძლია მივიჩნიოთ. "ღირსების რევოლუციის" შემდეგ უკრაინის მიერ მემორიალური პოლიტიკის გადახედვამაც თავისი წვლილი შეიტანა პოლონეთის პოზიციების ცვლილებაში.

როგორც უკვე აღინიშნა ორი ქვეყნის ურთიერთობებს მუდამ ჩრდილს აყენებდა მეოცე საუკუნეში ერთმანეთის მიმართ ჩადენილი დანაშაულებები. როგორც უკვე ვთქვით, პოლონეთი უკრაინსათან შედარებით ყოველთვის უფრო სენსიტიურად უდგებოდა ვოლინის ტრაგედიას, ისევე როგორც მასში UPA-სა და ბანდერას ჩართულობას. ამასთანავე ვარშავის მხრიდან წამოსული შერიგების ინიციატივებიც ან უპასუხოდ რჩებოდა, ან ნაკლებ ყურადღებას იპყრობდა კიევის მხრიდან. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ 2015 წლამდეც იყო ისეთი შემთხვევები, რაც რომელიმე მხარისა და საზოგადოების კრიტიკის საგანი ხდებოდა. ასე, მაგალითად, 2010 წელს ვიქტორ იუშენკომ ნაციონალისტ ლიდერ, სტეფანო ბანდერას "უკრაინის გმირის" წოდება მიანიჭა, რასაც მძაფრი რეაქციები მოჰყვა ვარშავის მხრიდან (Filtenborg & Weichert, 2021). UPA-სა და ბანდერას სიმბოლიზმის შენარჩუნება თუკი ერთის მხრივ, უკრაინისთვის დამოუკიდებლობისა და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოს წარმოადგენს, მეორეს მხრივ, ღრმა ჭრილობებს ხსნის პოლონეთისთვის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ჯაჭვი დომინოს ეფექტითაც მოქმედებდა - რამდენადაც უკრაინა ანტისაბჭოთა სიმბოლიზმით რუსეთისთვის საკუთარი თვითმყოფადობის დამტკიცებას ცდილობდა, იმდენად, საბოლოო ჯამში, ვარშავასთან იხსნებოდა ისტორიასთან დაკავშირებული დებატები.

შეუთანხმებლობები იყო პოლონეთ - უკრაინის კონფლიქტების მსხვერპლთა ხსოვნისთვის პატივის მიგებასთან დაკავშირებითაც. მაგალითისთვის, 2013 წელს იანუკოვიჩი არ შეუერთდა პოლონეთის პრეზიდენტ ბრონისლავ კომოროვსკის ლუცკში (უკრაინა) ვოლინის ხოცვის მსხვერპლთა 70-ე წლისთავზე (Portnov, 2016).

პრობლემა გამწვავდა 2015 წლის აპრილში, როდესაც უკრაინამ მიიღო ანტი-კომუნისტური კანონი, ზუსტად მას შემდეგ, რაც პოლონეთის პრეზიდენტი კომოროვსკი სიტყვით გამოვიდა უმაღლეს რადაში. ეს კანონი სისხლის სამართლის დანაშაულად ცნობდა უკრაინელი დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი გმირების, მათ შორის UPA-ს წევრთა ქმედებების დაგმობას და ნაციონალისტური დაჯგუფების ვეტერანებს სპეციალურ სტატუსს ანიჭებდა (Kononczuk, 2018a). უზენაესმა რადამ მაინც დაამტკიცა ეს კანონი ვარშავისგან მომავალი უარყოფითი რეაქციის მიუხედავად. კანონპროექტის კომოროვსკის ვიზიტის დღეს მიღება ვარშავაში მიზანმიმართულ დამცირებად და პოლონეთ - უკრაინის სტრატეგიული პარტნიორობის აბუჩად აგდებად მიიჩნიეს. ამგვარი ინციდენტების შემდეგ, პოლონეთ - უკრაინას შორის დაწყებულ ე.წ. "მეხსიერების ომს" მხოლოდ 2015 წელს PiS-ის ხელისუფლებაში მოსვლას ვეღარ მივაწერთ. ვოლინისა და აღმოსავლეთ გალიციის საკითხს ნაციონალისტური მმართველი ძალის გარდა სხვა ჯგუფებიც აქტიურად წევდნენ წინ პოლონეთში. ეს კი პირდაპირ ასხავდა წყალს კრემლის ინტერესებზე, რათა როგორმე დაეპირისპირებინა ორი ერი. შედეგად, 2016 წელს პოლონეთის პარლამენტმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ვოლინის ხოცვა პოლონელი ხალხის წინააღმდეგ UPA-ს მიერ განხორციელებულ გენოციდად აღიარდა. გადაწყვეტილება, რა გასაკვირია, მკაცრად გააკრიტიკეს უკრაინაში (Radio Free Europe, 2016). აღნიშნულ კანონამდე პოლონეთის პარლამენტში 2013 წელს მიიღეს პირველი დეკლარაცია 1943 წლის ვოლინის მოვლენების შესახებ. ეს დეკლარაცია UPA-ს ქმედებებს ეთნიკურ წმენდად აკვალიფიცირებდა და აღნიშნავდა გენოციდის ნიშნებსაც. მაშინდელი პოლონელი პოლიტიკოსების განცხადებით, ისინი არა კონკრეტულად უკრაინელებს ან უკრაინას სდებდნენ ბრალს, არამედ პასუხისმგებლობას აკისრებდნენ OUN-სა და UPA-ს (Portnov, 2016).

საინტერესოა რომ, თუკი მანამდე პოლონეთის რიტორიკა უკრაინის მიმართ მაინც მეგობრული რჩებოდა, 2015 წლიდან იგი უხეში ულტიმატუმებითაც კი გამოიჩეოდა. 2016 წლის ბოლოს იაროსლავ კაჩინსკიმ პეტრო პოროშენკოსთან შეხვედრაზე პირადაპირ განაცხადა, რომ ის გზა, რომელსაც უკრაინა UPA-ს ქმედებებისთვის ლეგიტიმურობის

მიცემით გაჰყვებოდა, ყოვლად მიუღებელი იქნებოდა პოლონეთისთვის. მისი თქმით, თუ უკრაინა უარს არ იტყოდა ბანდერასა და UPA-ს ეროვნულ სიმბოლოებად გამოყენებაზე, ორ მეზობელ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზება შეუძლებელი იქნებოდა. ხოლო მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის, ვიტოლდ ვაშიკოვსკის განცხადებით „უკრაინა ბანდერასთან ერთად ევროპაში ვერ შევიდოდა“ (UNIAN, 2017). ეს ცალსახა ულტიმატუმი გახლდათ პოლონეთის მთავრობის მხრიდან, თუმცაღა უკრაინის ხელისუფალნი რატომღაც ხშირად ზერელედაც კი უდგებიან ვარშვის მსგავს ხისტ განცხადებებს. “მეხსიერების ომი” 2017 წელს იმით გაგრძელდა, რომ უკრაინამ პოლონეთს უარი უთხრა ვოლინსა და სხვა რეგიონებში პოლონური საფლავების გახსნასთან დაკავშირებით. საქმე ეხებოდა ვოლინის მოვლენების დროს დახოცილ პოლონელთა საფლავების გაჭრას. უკრაინული მხარე ამ გადაწყვეტილებას პოლონეთში UPA-ის მონუმენტის შებღალვითა და დემონტაჟით ხსნიდა (Ptak, 2022).

მეხსიერების კანონთაგან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გახლდათ 2018 წლის იანვარში პოლონეთის პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულად ცნობდა უკრაინელი ნაციონალისტების მიერ პოლონელთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებების უარყოფას (Raczkiewycz, 2018). ეს კანონპროექტი წარმოადგენდა დანამატს 1998 წლის კანონზე, რომელმაც ჩამოაყალიბა ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტი პოლონეთში. ამ ინსტიტუტს ენიჭებოდა უფლებამოსილება გამოეკვლია UPA-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებები 1925-1950 წლებში. საქმე იმაშია, რომ ვოლინისა და აღმოსავლეთ გალიციის მოვლენები 1943-44 მიმდინარეობდა. კანონპროექტის სამიზნე პერიოდი კი ზუსტადაა მორგებული უკრაინის ეროვნული წინააღმდეგობის წლებთან, რასაც უკრაინული პოლიტიკური ელიტები მიზანმიმართულ შეურაცხყოფად აფასებდნენ (Belavusau, 2018, pp. 50-52). აღსანიშნავია, რომ ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის მსგავსი ინსტიტუტების შექმნით განსაკუთრებით პოსტ-სოციალისტური სივრცე გამოირჩეოდა 1990-იან წლებში. თუკი საბჭოთა პროპაგანდა ერთა მეხსიერების გაქრობასა და წნეხზე მუშაობდა, ნეო-იმპერიალისტური რუსეთის ბერკეტები აქტიურად ამოქმედდა, რათა ერებს გარდასულ დღეთა ისტორიებსა და მოვლენებში დაეწყოთ ძიება და

ჰქონოდათ კონფლიქტების საფუძველი. შესაძლოა რთულია იმის დაზუსტებით თქმა, რომ ეს ყველაფერი პირდაპირ კრემლის დაკვეთითა და უშუალო ჩართულობით სრულდებოდა პოლონეთსა და უკრაინაში, თუმცა, ფაქტია, ერთადერთი მხარე, რომელიც მათი დაპირისპირებით სარგებელს მიიღებდა რუსეთი გახლდათ.

საერთო იდენტობაზე დაფუძნებული უსაფრთხოების ალიანსი

2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრამ ვარშავისა და კიევის ერთმანეთთან ტოტალური შემობრუნება და მათი ისტორიულად მაქსიმალური დაახლოება გვაჩვენა. რამდენადაც პუტინი ეცადა გაეტეხა და დაესუსტებინა ეს რეგიონი, იმდენად გაძლიერებული და პოლონეთთან მომენტალურად შეკავშირებული დაუხვდა მას უკრაინა. თითქოს ისტორია განმეორდა - სხვადასხვა გარემოებებით, მაგრამ მსგავსი სცენარით. როცა მეოცე საუკუნის დასაწყისში, 1920 წელს უკრაინამ და პოლონეთმა აღმოსავლეთ გალიციისთვის ომი ვარშავის ხელშეკრულებით დაასრულეს, მყისვე მოუწიათ გაერთიანება რუსეთის არმიის წინააღმდეგ (Zimmerman, 2022). თუკი მაშინ სამხედრო კონფლიქტის გარდაქმნა ვიხილეთ პოლონეთ - უკრაინის ჯარების გაერთიანებად რუსეთისგან კიევის დასაცავად, ერთი საუკუნის შემდეგ პოლონეთისა და უკრაინის დაპირისპირებული მეხსიერებები გარდაიქმნენ მტკიცე ალიანსად რუსეთის წინააღმდეგ. 1920 წელს ნაციონალისტური ძალები ამ ნაბიჯის გადადგმისთვის აკრიტიკებდნენ კიდეც პოლონეთის დამფუძნებელ მამად ცნობილ მთავარსარდალ იოზეფ პილსუდსკის, რომელმაც გააჟღერა პოლონეთ - უკრაინის ალიანსის მთავარი იდეა: "ვერ იარსებებს თავისუფალი პოლონეთი თავისუფალი უკრაინის გარეშე" (Daniszewski, 2022).

დღეს პოლონელები და უკრაინელები უკვე ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალურად ხვდებიან, თუ რამხელა საერთო აქვთ მათ ერთმანეთთან. თუკი 2000 წლის გამოკითხვების მიხედვით პოლონელებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებმოწონებადი ქვეყანა უკრაინა იყო, დღეს ეს ვითარება რადიკალურადაა შეცვლილი და 2018 წლის შედეგებისგანაც კი მკვეთრად განსხვავდება. მიეროშევსკის ცენტრის მიერ უკრაინაში ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვები აჩვენებს, რომ გამოკითხულთა 73%-ის აზრი პოლონელებთან მიმართებით გაუმჯობესდა რუსეთის მიერ ფართომასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ (იხ. დანართი N1). 83%-ს კი პოლონელებზე ძალიან კარგი ან კარგი შეხედულება აქვს. მაშინ, როცა უკრაინელთა 88%-ის დამოკიდებულება რუსეთის (რუსების) მიმართ ნეგატიურისკენ შეიცვალა (Mieroszewski Centre, 2022, pp. 19-22). აღსანიშნავია, რომ

29% იმასაც კი ფიქრობს, რომ პოლონეთ - უკრაინის ურთიერთობებმა თანამეგობრობის ხასიათი უნდა მიიღოს და ორ ქვეყანას შორის საზღვარი მხოლოდ პირობითად დარჩეს. გალიცია გახლავთ ის ერთადერთი რეგიონი, სადაც მოსახლეობის 53%-ს არ სურს პოლონეთთან ზედმეტად ახლო ურთიერთობები (Mieroszewski Centre, 2022, pp.25). ამის პარალელურად, პოლონეთის გამოკითხვები გვიჩვენებს, რომ 2023 წლის იანვრის მონაცემებით პოლონელთა 79% უკრაინაში მიმდინარე ომს მიიჩნევს როგორც საფრთხეს პოლონეთის უსაფრთხოებისათვის (იხ. დანართი N2) (Polish Public Opinion, 2023). უცხოელ ლიდერებს შორის უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენზე მეტად ენდობიან პოლონელები (იხ. დანართი N3) (Polish Public Opinion, 2022). უკრაინაში კი მოსახლეობის 87% პოლონეთის პრეზიდენტ ანდჯეი დუდას ენდობა ყველაზე მეტად (Нова Європа, 2023, pp.6). ცალსახაა, ეს მონაცემები ნათლად გვიჩვენებს რამდენად შეუწყო ხელი რუსეთის უკრაინაში შეჭრამ პოლონელებისა და უკრაინელების როგორც დაახლოებას, ასევე მათ მიერ თავიანთი იდენტობის გადააზრებასაც. რა საკვირველია, ჭრილობები არსად წასულა, თუმცა საერთო მტრის აგრესიული პოლიტიკის ფონზე სახელმწიფოთა გადაჯაჭვამ კოლექტიური მეხსიერების ის შრეები გააღვიძა, რომლებიც გაზიარებულ წარსულსა და იდენტობაზე ახალ კავშირებს აშენებს.

ლიდერთა როლი და ძალისხმევა

ჯერ კიდევ გასული წლის მაისში, უმაღლეს რადაში პოლონეთის პრეზიდენტის, ანდჟეი დუდას სტუმრობისას, უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ სიტყვით გამოსვლისას პოლონელ კოლეგას "მეგობარი და ძმა" უწოდა და აღნიშნა, რომ ყოველთვის ისე ხდება, "რომ მზის დაბნელების ყველაზე კრიტიკულ მომენტში უკრაინელები და პოლონელები ერთიანდებიან და გვერდიგვერდ დგებიან, მიუხედავად წარსული ჩხუბისა და გაურკვევლობისა" (Zelenskyy, 2022). საინტერესოა, რომ პოლონეთ - უკრაინის ურთიერთობებზე საუბრისას ზელენსკი გვერდს არ უვლის კონფლიქტური წარსულის ხსენებას, თუმცა არც დეტალებში ჩადის და ყურადღებას ამახვილებს ორი ქვეყნის ერთად

დგომის მნიშვნელობაზე. ხაზს უსვამს, ორივე ერის დამფუძნებელი მამების ოცნებას პოლონეთისა და უკრაინის ერთიანობასა და ალიანსზე. ციტირებს პოლონელებისათვის ისეთ მნიშვნელოვან ფიგურებს როგორებიც არიან: პაპი იოანე პავლე მეორე, ლეხ კაჩინსკი, იერჟი გიდროიკი, კოპერნიკი და სხვანი (Zelenskyy, 2022) პარალელს ავლებს რა უკრაინული იდენტობის განმსაზღვრელ მოღვაწეებთან, თავისი რიტორიკით ზელენსკი მკვეთრად წარმოაჩენს პოლონეთისადმი პატივისცემასა და მოძმე ერის ფასეულობების შესახებ საკუთარ განსწავლულობას.

ომის დაწყების შემდეგ ზელენსკიმ პოლონეთში ვიზიტი პირველად აპრილში (2023) მოახერხა, სადაც პოლონეთის პრეზიდენტმა ანდჟეი დუდამ დაარწმუნა იგი პოლონეთის ურყევ მხარდაჭერაში ვილნიუსის სამიტის წინ და დააჯილდოვა კიდეც თეთრი არწივის ორდენით. დუდამ, ისევე როგორც სხვა ერთობლივი განცხდებების დროს, ამჯერადაც მკაფიოდ გაუსვა ხაზი "ღია ჭრილობების" არსებობას ორ ერს შორის, რაც მხოლოდ სიმართლის აღიარებითა და ვოლინის მოვლენების მსხვერპლთა პატივის მიგებით შეიძლება განიკურნოს (Ptak, 2023). აღსანიშნავია, რომ უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარემ მაისის ბოლოს პოლონეთის პარლამენტში გამოსვლისას, განსაკუთრებული პატივით მოიხსენია ვოლინის მოვლენების დროს დაღუპული პოლონელები და აღნიშნა, რომ უკრაინელებისთვის ეს ტკივილი უცხო არ არის (Tilles, 2023b).

მეორეს მხრივ, პოლონეთი დუდას თაოსნობით, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, უკრაინის სამხედრო დახმარების ერთ-ერთი უმსხვილესი მიმწოდებელი გახდა. ვარშავა კიევს აწვდის უზრმაზარი რაოდენობით საბრძოლო მასალას, ტანკს და გამანადგურებელი თვითმფრინავების მუდმივად მზარდ რაოდენობას. ქვეყანა სავარაუდოდ დაიწყებს კიდეც საბრძოლო მასალის ერთობლივ წარმოებას უკრაინასთან პარტნიორობის ფარგლებში. გარდა ლოჯისტიკური ჰაბისა იგი გახდა მთავარი მასტიმულირებელი ძალა დასავლეთისათვის, უკრაინის შესაბამისი სამხედრო შეიარაღებით მომარაგებასთან დაკავშირებით. როგორც პოლონეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი რაიმუნდ ანჯეიჩაკი აცხადებს, პოლონეთს სურს იყოს მოტივატორი და

შთამაგონებელი სხვა სახელმწიფოებისთვის, როგორც მთავარი პლატფორმა, მულტიეროვნული კომპონენტის ასაშენებლად. მისი თქმით, ვარშავა, როგორც აწ უკვე ერთ-ერთი ცენტრალური მოთამაშე რეგიონში, სთავაზობს დასავლეთს იმ სივრცეს, რომლის გავლითაც მოხერხდება უკრაინის შესაბამისი ტექნიკით მომარაგება და ევროპის უსაფრთხოების შენება (MSNBC, 2023). ამ სამხედრო მხარდაჭერის გარდა, პოლონეთი ასევე იქცა ევროპის უდიდეს მიმღებ ქვეყნად უკრაინელი ლტოლვილებისათვის. ამჟამად ქვეყანაში 1,3 მილიონზე მეტი უკრაინელი ლტოლვილი ცხოვრობს (Dickinson, 2023). როდესაც ისეთი ქვეყნები, როგორიცაა გერმანია და საფრანგეთი, ვერ ხვდებოდნენ როგორი პასუხი გაეცათ რუსული იმპერიალიზმის მწვავე გამოვლინებისთვის, პოლონეთი უკრაინის ყველაზე ლოიალური ევროპელი მხარდამჭერი გამოდგა პუტინის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნატოსა და ევროკავშირის გრავიტაციის ცენტრმა ცივი ომის პერიოდის შემდეგ 2022 წელს ვარშავაში გადმოინაცვლა.

კრემლის რეაქცია პოლონეთ - უკრაინის ალიანსის საპასუხოდ

კრემლის პროპაგანდისტულმა მანქანამ, როგორც კი დაინახა უკრაინაში შეჭრის შედეგად პოლონეთისა და უკრაინის მყისიერი შეკავშირება, მალევე აამოქმედა საკუთარი რესურსები საზოგადოებებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად. რუსული მედია საშუალებები, ისევე როგორც რუსეთის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ანგარიშები, სოციალურ ქსელებში აქტიურად ავრცელებდნენ დეზინფორმაციას პოლონეთის გეგმების შესახებ. მათი მტკიცებით, პოლონეთის ალიანსი უკრაინასთან მოჩვენებითი იყო და სინამდვილეში, ვარშავა ჯარებს ამზადებდა დასავლეთ უკრაინის რეგიონების - გალიციისა და ვოლინის, დასაპყრობად. აღნიშნულში პოლონეთს უკრაინელი პრო-რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსებიც ადანაშულებდნენ. მათი დეზინფორმაციის მიხედვით, პრეზიდენტი დუდა, პრეზიდენტ ზელენსკისთან შეთანხმებით მოქმედებდა, დასავლეთ უკრაინის პოლონეთთან შესაერთებლად. ამ პერიოდში გავრცელებული ყალბი ნარატივების ნაწილი საუბრობს უკრაინის დასაყოფად პოლონეთისა და რუმინეთის საერთო მზადებაზე (Special

Services of Poland, 2022). კრემლის დეზინფორმაციის აპარატი, რა საკვირველია, არ იშურებს ძალისხმევას როგორმე შელახოს დუდასა და ზელენსკის პორტრეტები. როგორც ქვეყნების პირველი პირები და პოლონეთ - უკრაინის ალიანსის სახეები, მრავალგვარად დაუდანაშაულებიათ პროპაგანდისტებს თავიანთი ქვეყნების ღალტში. გასულ წელს დუდას აბრალებდნენ იმასაც, რომ UPA-ს მეომორიალს მიაგო პატივი, თუმცაღა სინამდვილეში უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მებრძოლთა მემორიალზე იყო საუბარი (Robakidze, 2022). პროპაგანდისტული მესიჯები ფოკუსირებული გახლდათ არა მხოლოდ ორ ერს შორის არსებული ალიანსის შერყევაზე, არამედ პოლონელებს შორის იმ იდეის დანერგვაზე, რომ უკრაინელთა დახმარების საპასუხოდ რუსეთის მხრიდან შურისძიებას მიიღებდნენ. მეორეს მხრივ, პუტინისთვის პოლონეთი და უკრაინა კვლავ საბჭოთა გავლენის სფეროებს წარმოადგენს, რომელთა მართვაც ნაციონალისტური სენტიმენტების გაღვივებით მარტივად იქნება შესაძლებელი. რაც მთავარია, იმ ნარატივის გავრცელებით, თითქოს პოლონეთს უკრაინის დაპყრობა სურდეს, სურს მის მიერ უკრაინის დაპყრობაც გამართლებული გახადოს. ცალსახაა, 21-ე საუკუნის, 2023 წლის რეალობაში კრემლის ბინძური თამაშები ვეღარ მოქმედებს ორ ქვეყანას შორის არსებული ძლიერი კავშირის ფონზე. მითუმეტეს, როცა ეს კავშირი არაა მხოლოდ ლიდერთა გადაწყვეტილება, არამეც საზოგადოებრივ ნებასა და აღქმებთან მჭიდროდ გადახლართულია. რუსეთის ნებისმიერი გეგმა, როგორმე გატეხოს პოლონელებისა და უკრაინელების ერთიანობა, საპირისპიროდ შედეგს იძლევა.

პოლონეთ - უკრაინის ალიანსი _ ანალიზი თეორიულ ჭრილში

თუკი ისტორიიდან გაკვეთილის მიღება შესაძლებელია, პოლონეთისა და უკრაინის შემთხვევაში ეს გაკვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთთან ბრძოლით ორივე მხარე წაგებული რჩება. ასე მოხდა კაზაკების შემთხვევაშიც, როცა პოლონურ მმართველობას აჯანყებულები, ბევრად მძიმე რუსული წნეხის ქვეშ მოექცნენ; იგივე განმეორდა აღმოსავლეთ გალიციისთვის ბრძოლისასაც, რასაც მოჰყვა უშედეგო ბრძოლა რუსეთთან და საბოლოოდ უკრაინის გაყოფა (Mick, 2022). ზემოთ მოყვანილ თავებში დეტალურად მიმოვიხილეთ, როგორც ისტორიული წარსული და პოლონეთ-უკრაინას შორის არსებული კონფლიქტური მეხსიერება, ისე, ამჟამად მათ შორის არსებული უსაფრთხოების ალიანსი. ეს უკანასკნელი, ერთის მხრივ, მათ გაზიარებულ იდენტობაზეა დაფუძნებული, მეორეს მხრივ, კი რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის პასუხია. ფაქტობრივი მასალის გაანალიზების თანმიმდევრულად, საკვლევი თემა ორი თეორიის, კონსტრუქტივიზმისა და ნეორეალიზმის ჭრილში განიხილება. მიუხედავად იმისა, რომ ამ თეორიების ძირითადი პოსტულატები ფუნდამენტურად შეიძლება განსხვავედბოდეს ერთმანეთისგან, სწორედ ეს განსხვავება დაგვეხმარება მოვლენების სწორ ანალიზში.

კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთ ძირითად დებულებად გამოყოფენ მტკიცე კავშირს სახელმწიფოს ინტერესებსა და იდენტობას შორის, რომელიც ისტორიული პროცესების შედეგად ყალიბდება. ასევე, კონსტრუქტივიზმისთვის საინტერესოა როგორ აყალიბებს „აგენტი“, ანუ იგივე სახელმწიფო, საკუთარ ეროვნულ ინტერესებსა და იდენტობას სხვა აქტორებთან მიმართებაში (Viotti & Kauppi, 2012, pp. 277-279). პოლონეთისა და უკრაინის ინდივიდუალური გამოცდილებები და აღქმები მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან. მიუხედავად ჯერ კიდევ გამოურკვლეველი დავებისა და ისტორიული სიმართლეებისა, მათთვის საერთო მუდამ იყო მტერი, რომლისგან მომავალი საფრთხე დროსთან ერთად არსად გამქრალა. მათი ისტორიული წარსულის კვლევისას, ნათლად დავინახეთ, რომ ორივე მათგანის, როგორც პოლონელების, ისე უკრაინელების იდენტობის ქვაკუთხედს თავიანთი ერების მოწამეობრიობის იდეა წარმოადგენს. შესაძლოა არსებითად

განსხვავებული იყოს ამის მიზეზები, მაგრამ ფუნდამენტურად აყალიბებს სახელმწიფოთა მიერ თავიანთი თავის აღქმას. ორივე ერმა იწვნია ოკუპაცია, საბჭოთა რეპრესიები, გადასახლებები, გულაგის სისტემა... თუკი ერთის კოლექტიურ მეხსიერებაში უდიდესი ტრავმის წყარო ჰოლოკოსტი იყო, მეორემ გამოიარა ჰოლოდომორი. მიუხედავად იმისა, რომ მათი კულტურა და ტრადიციები განსხვავდება, ამ ერების ცოცხალი, კოლექტიური მეხსიერება ძალიან არის სინქრონიზებული. ერთმანეთისთვის მიყენებულ ჭრილობებთან ერთად მათ გამოიარეს ის პერიოდებიც, რომელთა გადააზრებაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სრული შერიგების გზაზე და შეთანხმების შესაძლებლობას იძლევა.

როგორც მრავალ ავტორსა თუ პოლიტიკოსს აქამდეც აღუნიშნავს, პოლონეთი და უკრაინა ერთმანეთის გარეშე განადგურებისთვის არიან განწირულნი. აღნიშნული იდეის გააზრებასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეიცვალა სახელმწიფოთა აღქმა, როგორც ერთმანეთის, ისე რუსეთის მიმართ. პოლონეთის შემთხვევაში, პოლიტიკურ დონეზე ამ იდეის დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჯერ მთავარსარდალ იოზეფ პილსუდსკის, ხოლო შემდეგ გიედროიჩისა და „კულტურას“ იდეალებს. ხოლო უკრაინისთვის ეროვნული იდენტობის ხელახალ განსაზღვრაზე რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციამ და ღირსების რევოლუციამ იმოქმედა. შესაბამისად, ორივე ერის იდენტობები წლებთან და ისტორიულ მოვლენებთან ერთად ისე ფორმირდა, რომ მსგავსად მოაზროვნე ქვეყნებად ჩამოყალიბდნენ. მიუხედავად ამისა, უახლოეს წარსულში მაინც მივიღეთ ისტორიულ მეხსიერებათა ჯახი და მოუშუშებელ იარებზე აპელირება ერთი მეორის მხრიდან. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ისტორიულ წყენებზე აპელირებითა და იდენტობის განმსაზღვრელი მოვლენების პოლიტიზირებით მივიღეთ. მეოცე საუკუნის პოლონეთ - უკრაინის კონფლიქტებიც ხომ მათი მოწამეობრივი ისტორიის ნაწილია, რომელიც მათ მეხსიერებაში ეთნიკური წმენდების სხვა შემთხვებთან ერთადაა ჩაკირული. ეთნიკურ წმენდებს კი, პოლონურ - უკრაინული შემთხვევისა არ იყოს, ყოველთვის ახასიათებს ორმხრივი პრეტენზიები და შეუძლია ხელსაყრელი პირობები შექნას ისეთი დავისთვის, სადაც ორივე მხარეს ლეგიტიმური არგუმენტები გააჩნია მეორის წინააღმდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ კონსტრუქტივიზმი ყურადღებას მნიშვნელოვნად ამახვილებს პოპულარულ დისკურსებსა და სოციალურ კონსტრუქციებზე. სწორედ 2010-იან წლებში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მეხსიერების პოლიტიკის გაბატონებულმა დისკურსმა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი პოლონეთ - უკრაინის ე.წ. „მეხსიერების ომში“. რუსეთის უკრაინაში შეჭრა კი, ერთგვარი კატალიზატორი იყო ორივე ქვეყნისთვის, რომ აღექვათ საერთო მტერი, როგორც მათი იდენტობების თანხვედრის განმსაზღვრელი წყარო. ამასთანავე, ერთმანეთთან მიმართებაში გაეანალიზებინათ ის საერთო ინტერესები, რომლებიც მოქმედებისა და წარსულის დავიწყებისკენ უბიძგებდა მათ. შესაბამისად, რუსეთის შეჭრამ კიარ განსაზღვრა მათი იდენტობები, არამედ ცხადი გახადა ეს უკანასკელი, რაზეც დაეფუძნა კიდეც პოლონეთ - უკრაინის მტკიცე ალიანსი. კვლევისას განხილული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები, ცხადყოფს, თუ როგორ იცვლებოდა ორივე მხარის მოსახლეობის აღქმები ერთმანეთის მიმართ და როგორი სურათი მივიღეთ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ. ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმას, რომ ვოლინისა და აღმოსავლეთ გალიციის მტკივნეული მეხსიერება საერთოდ გაქრა.

ზოგიერთი კონსტრუქტივისტი მეცნიერის მტკიცებით სახელმწიფოებს შეუძლიათ დროთა განმავლობაში შეიმუშაონ ერთმანეთის მიმართ ისეთი პოლიტიკა რომ მათ არ შეექმნათ უსაფრთხოების დილემები (Pevehouse & Goldstein, 2014, pp. 97-99). პოლონეთისა და უკრაინის სტრატეგიული ურთიერთობაც ერთმანეთის მიმართ არსებული ინტერესებიდან შეგვიძლია ავხსნათ. ვარშავისა და უკრაინის გაერთიანება კვებავს მათსავე უსაფრთხოების გარანტიებს და ისტორიულად ჩაგრულ ორ მხარეს რუსეთის წინააღმდეგ წარმატებულად მიმართავს.

მეორეს მხრივ, სტრუქტურული რეალიზმი, ანუ ნეორეალიზმი გვეხმარება დავინახოთ სრტუქტურული ცვლილების როლი კონკრეტულ მოვლენებში. ამ შემთხვევაში არც რეგიონალური გაერთიანებები გამოირიცხება არეალიდან. რუსეთის უკრაინაში შეჭრამ მრავალმხრივ შეცვალა რეგიონის გეოპოლიტიკური მდგომარეობა. პოლონეთს, წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, კარგად ესმის რუსეთის იმპერიალისტური ხასიათი და აანალიზებს მისგან მომავალ საფრთეს. ამასთანავე, გასული საუკუნის რამდენიმე

იმედგაცრუებამ, როგორიც იყო, მაგალითად, 1939 წლის მარცხი და ვარშავის აჯანყების კოლაფსი, პოლონეთს გაუჩინა მუდმივი დაუცველობის გრძნობა და ეჭვები საკუთარ შესაძლებლობებთან მიმართებით. ეს მაშინ, როცა პოლონეთ - ლიტვის თანამეგობრობის დიდების დღეები სახელმწიფოს მეხსიერებას კვლავ შემორჩენოდა. ნეორეალისტური პარადიგმის ალიანსების თეორიის თანახმად ბოროტების ღერძის გააქტიურებამ უბიძგა პოლონეთს როგორც უკრაინისთვის დახმარების ხელის გაწოდება, ისე მასთან ალიანსის შეკვრა და სამომავლო უსაფრთხოებისთვის ინვესტიციის დაბანდება. ეს ერთგვარ თვითგადარჩენის მოქმედებადაც კი განიხილება. პოლონეთს ესმის, რომ უკრაინა მისთვის ფარს წარმოადგენს რუსეთისგან თავის დასაცავად. ამიტომაც, მისი მხრიდან პრაგმატული არჩევანია დაეხმაროს დღეს უკრაინას, ვიდრე ხვალ თავად მოუწიოს დახმარების ძებნა. ამის პარალელლურად, რამდენადაც რუსეთის უკრაინაში შეჭრა ვარშავისთვის საფრთხის ნიშანია, იმდენად აძლევს მას შანს რეგიონში პოზიციები გაიმყაროს და ცენტრალურ მოთამაშედ მოგვევლინოს. თუკი 2020 წელს უკრაინა მეორეხასიხოვან პარტნიორებში განიხილავდა პოლონეთს, დღეს ვარშავა კიევისთვის ერთ-ერთი უპირველესი დასაყრდენია. ორივე თეორია, როგორც კონსტრუქტივიზმი, ისე ნეორეალიზმი, სხვადასხვაგვარად მაგრამ, ცალსახად, ხსნის ნაშრომის დასაწყისში დაფიქსირებულ ჰიპოთეზას. საკითხის ორივე კუთხით განხილვისას, პუტინის რევანშისტული პოლიტიკის ყოვლად გაუმართლებელი გამოვლინება, უკრაინაში შეჭრის სახით გახდა არა რეგიონის დესტაბილიზაციის, არამედ პოლონეთისა და უკრაინის მჭიდრო ალიანსის ჩამოყალიბების უმთავრესი მიზეზი.

დასკვნა

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების „სისხლიან მიწებზე“ არაერთ ტრაგედიასა თუ ეთნიკურ წმენდას გადაუვლია. წარსული აჩრდილები მოუშუშებელი ჭრილობების სახით კვლავაც ახსენებს თავს თანამედროვე სახელმწიფოებს. რუსეთის მხრიდან უკრაინაში ომის დაწყების დღიდან პოლონეთის მხრიდან გამოხატული მხარდაჭერა და უკრაინასთან შექმნილი ალიანსი ბევრისთვის ბუნებრივ რეაქციას წარმოადგენდა. თუმცაღა ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული მეოცე საუკუნის კონფლიქტებისა და მათზე დაფუძნებული ბოლო წლების „მეხსიერების ომების“ კვალდაკვალ, ერთობ პარადოქსულიც კია ეს მეგობრობა. სწორედ ამიტომ, ნაშრომში შევისწავლეთ პოლონეთისა და უკრაინის მიერ კონფლიქტური წარსულიდან უსაფრთხოების ალიანსის აღმოცენებამდე განვლილი ეტაპები. გავაანალიზეთ კონფლიქტური მოვლენები, რომლებმაც ერების იდენტობისა და კოლექტიური ტავმების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. შევეხეთ გასულ საუკუნეში არსებულ ინიციატივებსაც ორი ერის შერიგებასთან დაკავშირებით. ასევე, შევისწავლეთ ორი ქვეყნის ურთიერთობებში ბოლო წლებში არსებული დინამიკა, მათი მეხსიერების პოლიტიკა და უეცარი შემობრუნებით მიღებული უსაფრთხოების ალიანსი. გაანალიზდა პოლონეთისა და უკრაინის ლიდერთა გამოსვლები, ისევე როგორც წლების განმავლობაში საზოგადოების შეხედულებების ცვლილება ერთმანეთთან მიმართბით. საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურისა და სხვადასხვა მკვლევრის შეხედულებების მიმოხილვამ, კიდევ უფრო ნათელი გახადა ნაშრომის ჰიპოთეზის ჭეშმარიტება. დავინახეთ, რომ უკრაინასა და პოლონეთს მიუხედავად ერთმანეთისთვის მიყენებული ღრმა და მოუშუშებელი იარებისა, ასევე გააჩნიათ მათი იდენტობების განმსაზღვრელი გაზიარებული ტკივილიც. ამ სახელმწიფოებს მუდმივალ გააჩნდათ საერთო მტერი, რომლისგან მომავალი საფრთხის ხელშესახებად აღქმაც დაეხმარა მათ 2022 წლის თებერვლიდან მოყოლებული განსაკუთრებით მტკიცე ერთობის შენარჩუნებაში. ეს არ გულისხმობს იმას, რომ ვოლინისა და აღმოსავლეთ გალიციის ტრაგიკული მოვლენები და მათი მსხვერპლები დავიწყებული არიან რომელიმე ქვეყნის მხრიდან. თუმცაღა მჭიდრო ალიანსის შექმნა, საფუძველია

ისტორიული სიმართლეების გამორკვევისა და ორივე მხარის ინტერესთა დაკმაყოფილებისათვის. მიუხედავად კრემლის აქტიური მცდელობებისა, ბზარი შეიტანოს უკრაინისა და პოლონეთის ერთობაში, ორი ქვეყანა სახელმწიფოთა ყველა დონეზე კიდევ უფრო უახლოვდება ერთმანეთს. შედეგად კი ვიღებთ რეგიონული უსაფრთხოების ახალ გეოპოლიტიკურ ღერძს, რომელსაც ახლა არა მხოლოდ რუსული ნეოიმპერიალიზმის ეგზისტენციალური საფრთხე აერთიანებს, არამედ ამ უკანასკნელის ჩამოშლის პოტენციალიც „უკრაინული პრობელემის საბოლოოდ გადასაჭრელად“ , რამეთუ „არ არსებობს თავისუფალი პოლონეთი, თავისუფალი უკრაინის გარეშე.“

ბიბლიოგრაფია:

1. Ascherson, N. (2018). Bloodlands: Europe Between Hitler and Stalin by Timothy Snyder – review. *The Guardian*. Retrieved June 6, from https://www.theguardian.com/books/2010/oct/09/bloodlands-stalin-timothy-snyder-review
2. Belavusau, U. (2018). The Rise of Memory Laws in Poland. *Security and Human Rights*, *29* (1–4), pp. 36–54. https://doi.org/10.1163/18750230-02901011
3. CBOS, Public Opinion Research Center. (2000b, October). Polish Public Opinion. Retrieved June 4, 2023, from https://www.cbos.pl/PL/publikacje/public_opinion/2000/10_2000.pdf
4. CBOS, Public Opinion Research Center. (2022, August) Polish Public Opinion. Retrieved June 4, 2023, from www.cbos.pl/PL/publikacje/public_opinion/2022/07_08_2022.pdf
5. CBOS, Public Opinion Research Center. (2023, January) Polish Public Opinion. Retrieved June 4, 2023, from www.cbos.pl/PL/publikacje/public_opinion/2023/01_2023.pdf
6. Connerton, P. (2008). *Seven types of forgetting*. Memory Studies, 1(1), pp. 59–71. https://doi.org/10.1177/1750698007083889
7. Creswell, J.W & Creswell, J.D. (2014). *Research Design: Qualitive, Quantitative, and Mixed Methods Approaches* (third ed.). Los Angeles: SAGE Publications, Inc, pp. 166-171
8. Daniszewski, J. (2022, November 18). Bio of Polish statesman holds lessons on today's Ukraine. *The Independent*. Retrieved June 1, 2023, from https://www.independent.co.uk/news/world/americas/us-politics/ap-ukraine-polish-europe-russia-b2227785.html
9. Dickinson, P. (2023). Poland and Ukraine: The emerging alliance that could reshape Europe. *Atlantic Council*. https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/poland-and-ukraine-the-emerging-alliance-that-could-reshape-europe/
10. Dudko, O. (2014). Polish-Ukrainian Conflict over Eastern Galicia. In *The International Encyclopedia of the First World War (WW1)*. Retrieved June 5, 2023, from https://encyclopedia.1914-1918-online.net/article/polish-ukrainian_conflict_over_eastern_galicia

11. Filtenborg, E., Weichert, S. (2021, August 4). Controversy as Ukraine mulls giving hero status to alleged war criminals. *Euronews.* Retrieved June 19, 2023, from https://www.euronews.com/my-europe/2021/08/04/controversy-as-ukraine-mulls-giving-hero-status-to-alleged-war-criminals
12. Goncharenko, R. (2022, May 22). Stepan Bandera: Hero or Nazi collaborator? *DW.* Retrieved June 5, 2023, from https://www.dw.com/en/stepan-bandera-ukrainian-hero-or-nazi-collaborator/a-61842720
13. Iwaniuk, O. (2017). Ukrainian-Polish Relations in the Context of the Memory War: A Game of Lose-Lose. *Wilson Center*. Retrieved June 1, 2023, from https://www.wilsoncenter.org/blog-post/ukrainian-polish-relations-the-context-the-memory-war-game-lose-lose
14. Jackson, R. L., & Hogg, M. A. (2010). *Encyclopedia of Identity*. SAGE Publications, Inc. eBooks. https://doi.org/10.4135/9781412979306
15. Kononczuk, W. (2018a, May 23). The Paradoxes of Polish-Ukrainian Relations. *Wilson Center.* Retrieved May 5, 2023, from https://www.wilsoncenter.org/blog-post/the-paradoxes-polish-ukrainian-relations
16. Konończuk, W. (2018b. March, 22). Why Poland needs a post-Giedroyc doctrine towards Ukraine. *New Eastern Europe*. Retrieved June 8, 2023, from https://neweasterneurope.eu/2018/03/22/poland-needs-post-giedroyc-doctrine-towards-ukraine/
17. Lamont, C. (2015). *Research Methods in International Relations*. Sage Publications Inc. pp. 95-110
18. Markiewicz, P., & Olchawa, M. (2023, February 21). Poland and Ukraine Can Stop Russia's Imperial Dreams. *Foreign Policy*. Retrieved June 1, 2023, from https://foreignpolicy.com/2023/02/21/poland-ukraine-russia-putin-imperial-dreams/

19. Mieroszewski Centre. (2022). Poland and Poles as seen by Ukrainians. pp.19-25. Retrieved June 1, 2023, from https://mieroszewski.pl/en/programmes/public-opinion-research/poland-and-poles-as-seen-by-ukrainians
20. Mortensen, A., Mendonca, D., McGee, L., & Liptak, K. (2023, March 16). Poland becomes first to pledge fighter jets to Ukraine. *CNN*. Retrieved May 5, 2023, from https://edition.cnn.com/2023/03/16/europe/poland-fighter-jets-ukraine-intl/index.html
21. Moskva, D. (2022) Opponents in battle, allies in suffering. In Stryjek, T., & Konieczna-Sałamatin, J. (Eds.), *The Politics of Memory in Poland and Ukraine: From Reconciliation to De-Conciliation* (1st ed.). pp. 151-155. Routledge. https://doi.org/10.4324/9781003017349
22. Motyka, G. (2022) *From the Volhynian Massacre to Operation Vistula: The Polish-Ukrainian Conflict 1943-1947.* FOKUS. Brill Schöningh pp. 87 - 91 https://doi.org/10.30965/9783657795376
23. MSNBC. (2023, February 8). *How Poland is leading efforts to help Ukraine* [Video]. YouTube. Retrieved June 5, 2023, from https://www.youtube.com/watch?v=zOXaOd_h2hA
24. National Security Bureau (2020). *National Security Strategy of The Republic of Poland*. pp. 6-24. Retrieved June 7, 2023, from National_Security_Strategy_of_the_Republic_of_Poland_2020.pdf (bbn.gov.pl)
25. Pevehouse, J. C., Goldstein, J. S. (2014) *International Relations.* (10th ed.) Pearson. pp. 97-99
26. Pietrzak, P., (2023). The Giedroyć-Mieroszewski Doctrine and Poland's Response to Russia's Assault on Ukraine. *Modern Diplomacy*. Retrieved June 6, 2023 from https://moderndiplomacy.eu/2023/02/03/the-giedroyc-mieroszewski-doctrine-and-polands-response-to-russias-assault-on-ukraine/
27. Portnov, A. (2016, November 16). Clash of victimhoods: The Volhynia Massacre in Polish and Ukrainian memory. *Open Democracy*. Retrieved May 5, 2023, from https://www.opendemocracy.net/en/odr/clash-of-victimhood-1943-volhynian-massacre-in-polish-and-ukrainian-culture/

28. Portnov. A. (2022). Polish-Ukrainian historical controversies. In Stryjek, T., & Konieczna-Sałamatin, J. (Eds.). *The Politics of Memory in Poland and Ukraine: From Reconciliation to De-Conciliation* (1st ed.). pp. 22-32. Routledge. https://doi.org/10.4324/9781003017349
29. Prather, J., M. (2022). *Memory and Suppression in 20th Century Poland and Ukraine.* The George Washington University ProQuest Dissertations Publishing. https://www.proquest.com/openview/328d8f3da742bd3f97d87478fb327cae/1?pq-origsite=gscholar&cbl=18750&diss=y
30. Ptak, A. (2022) Ukraine agrees to exhumation of Polish victims of WW2 massacre. *New Eastern Europe.* Retrieved June 3, 2023, from https://notesfrompoland.com/2022/11/14/ukraine-agrees-to-exhumation-of-polish-victims-of-ww2-massacre/
31. Raczkiewycz, M. (2018, March 2). Polish law on Ukrainian nationalists, Volyn atrocities irks Kyiv. *The Ukrainian Weekly*. https://www.ukrweekly.com/uwwp/polish-law-on-ukrainian-nationalists-volyn-atrocities-irks-kyiv/
32. Reichl-Ham, C. (2019). Lemberg. In *The International Encyclopedia of the First World War (WW1).* Retrieved June 5, 2023, from https://encyclopedia.1914-1918-online.net/article/lemberg
33. Robakidze, D. (2022) Which memorial did the President of Poland bow down to? *Myth Detector.* Retrieved May 20, 2023, from https://mythdetector.ge/en/which-memorial-did-the-president-of-poland-bow-down-to/
34. Snyder, G. H. (1990). ALLIANCE THEORY: A NEOREALIST FIRST CUT. *Journal of International Affairs*, *44*(1), 103–123. http://www.jstor.org/stable/24357226
35. Snyder, T. (1999). "To Resolve the Ukrainian Problem Once and for All": The Ethnic Cleansing of Ukrainians in Poland, 1943–1947. *Journal of Cold War Studies*, *1*(2), 86–120. https://doi.org/10.1162/15203979952559531
36. Snyder, T. (2003). The Causes of Ukrainian-Polish Ethnic Cleansing 1943. *Past & Present*, *179*, 197–234. http://www.jstor.org/stable/3600827

37. Special Services of Poland. (2022). *Disinformation campaign against Poland.* Retrieved June 2, 2023, from https://www.gov.pl/web/special-services/the-lies-of-russian-propaganda
38. Straż Graniczna, (2023). *Statistics* Retrieved June 3, 2023, from https://strazgraniczna.pl/pl/granica/statystyki-sg/2206,Statystyki-SG.html
39. Stryjek, T., & Konieczna-Sałamatin, J. (Eds.). (2021). *The Politics of Memory in Poland and Ukraine: From Reconciliation to De-Conciliation* (1st ed.). Routledge. https://doi.org/10.4324/9781003017349
40. Mick, C. (2022). Ukraine and Poland: why the countries fell out in the past, and are now closely allied. *The Conversation.* Retrieved June 3, 2023, from https://theconversation.com/ukraine-and-poland-why-the-countries-fell-out-in-the-past-and-are-now-closely-allied-184906
41. Theys, S. (2018). *Introducing Constructivism in International Relations Theory*; https://www.e-ir.info/2018/02/23/introducing-constructivism-in-international-relations-theory/
42. Tilles, D. (2023a, January 2). Poland condemns Ukraine's commemoration of wartime nationalist leader Bandera. *Notes From Poland.* Retrieved June 3, 2023, from https://notesfrompoland.com/2023/01/02/poland-condemns-ukraines-commemoration-of-wartime-nationalist-leader-bandera/
43. TIlles, D. (2023b, May 25). "We understand your pain" over WWII massacre, Ukrainian leader tells Polish parliament. *New Eastern Europe.* Retrieved June 3, 2023, from https://notesfrompoland.com/2023/05/25/we-understand-your-pain-over-wwii-massacre-ukrainian-leader-tells-polish-parliament/
44. *UNIAN.* (2017, January 30). Kyiv-Warsaw relations depend on Ukraine's stance toward UPA – Kaczynski. Retrieved June 5, 2023, from https://www.unian.info/politics/1749537-kyiv-warsaw-relations-depend-on-ukraines-stance-toward-upa-kaczynski.html
45. Viotti, P.R., Kauppi, M.V. (2012). *International Relations Theory* (fifth edition). Glenview: Pearson Education, Inc. pp. 277-279.

46. Wendt, A. (1994). Collective Identity Formation and the International State. *The American Political Science Review*, *88*(2), pp. 384–396. https://doi.org/10.2307/2944711
47. Yin, R. K. (2009). *Case Study Research: Design and Methods* (4th ed.). Applied Social Research Methods. SAGE Publications, Inc. pp.4-20.
48. Zelenskyy, V. (2022, May). Speech by President of Ukraine Volodymyr Zelenskyy during the joint participation with President of the Republic of Poland Andrzej Duda in the plenary session of the Verkhovna Rada. President of Ukraine's Official Website. Retrieved May 29, 2023, from https://www.president.gov.ua/en/news/vistup-prezidenta-ukrayini-volodimira-zelenskogo-pid-chas-sp-75261
49. Zimmerman, J. D. (2022, June 13). Ukrainians have fought for independence for more than a century. *Washington Post*. Retrieved June 1, 2023, from https://www.washingtonpost.com/outlook/2022/06/13/ukrainians-have-fought-independence-more-than-century/
50. *Указ Президента України №392.* (2020, 14 вересня). Офіційне Інтернет-представництво Президента України. Retrieved June 3, 2023, from https://www.president.gov.ua/documents/3922020-35037
51. Ценр Нова Європа. (2023, Січень). Дипломатія Воєнного Часу: Що думають українці про рух України до членства в ЄС і не тільки. Retrieved June 4, 2023, from neweurope.org.ua/wp-content/uploads/2023/01/Eurointegration_wartime_ukr.pdf
52. Bogumiła Berdychowska, (2003) Wołyń 1943: Ukraińcy wobec Wołynia. *Zeszyty Historyczne*, vol. 146. pp. 69-70. Instytut Literacki. Paryż. Retrieved from 46ad142ecc1bd3187653833b22a50fb17984d9e7.pdf (kulturaparyska.com)
53. CBOS, Centrum Badania Opinii Społecznej (2000a, Czerwiec) Inne Narody - Nasze Sympatie I Antypatie. Retrieved June 3, 2023, from https://www.cbos.pl/SPISKOM.POL/1995/K_105_95.PDF

დანართები

დანართი N1: უკრაინელების მიერ პოლონელების აღქმა რუსეთის მიერ ომის დაწყების შემდეგ (2022)



(წყარო: Mieroszewski Centre. (2022). Poland and Poles as seen by Ukrainians. pp.19)

დანართი N2: ომი უკრაინაში, როგორც საფრთხე პოლონეთის უსაფრთხოებისთვის (2023)



(წყარო:CBOS, Public Opinion Research Center. (2023, January) Polish Public Opinion.)

დანართი N3: უცხოელი პოლიტიკოსების მიმართ პოლონელთა დამოკიდებულებები (2022)



(წყარო: CBOS, Public Opinion Research Center. (2022, August) Polish Public Opinion.)